



ვარშავა/სტრასბურგი, 22 აგვისტო, 2014
მოსაზრება-Nr.: CRIM -GEO/257/2014 [RJU]
www.legislationline.org

ერთობლივი მოსაზრება
საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო
კოდექსის შესახებ

ეფუძნება ინგლისურ ენაზე კოდექსის არაოფიციალურ თარგმანს

*წინამდებარე მოსაზრებაში წვლილი შეიტანეს
წმინდა ლუისის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის
პროფესორმა სტივენ თამანმა და გლაზგოს უნივერსიტეტის სამართლის
სკოლის პროფესორმა ჯიმ მერდოკმა*

I. შესავალი

II. მიმოხილვის ფარგლები

III. შემაჯამებელი მიმოხილვა

IV ანალიზი და რეკომენდაციები

1. პირველადი შენიშვნები

2. პრევენციული ზომები

3. საპროცესო შეთანხმება

4. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო

5. სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება

5.1 წინასასამართლო განხილვის ეტაპი

5.2 დახურული სასამართლო სხდომა

5.3 საქმის განხილვა ბრალდებულის დაუსწრებლად (*in Absentia*)

5.4 მხარეთა თანასწორობა

5.5 მოსამართლეთა აცილება და შეცვლა

5.6 უდანაშაულობის პრეზუმფცია და პირის უფლება, არ მისცეს საკუთარი თავის მამხილებელი ჩვენება

5.7 სამართლიან სასამართლო განხილვასთან დაკავშირებული სხვა საკითხები

6. წამება, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობა

7. დაზარალებულის უფლებები

8. პირადი ცხოვრების, საცხოვრებლისა და მიმოწერის უფლებაში ჩარევა

9. სხვა საკითხები

დანართი 1: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი
(წარმოდგენილია ცალკე დოკუმენტის სახით)

I. შესავალი

1. 2014 წლის 4 აპრილს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ თხოვნით მიმართა ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (OSCE/ODIHR) დირექტორს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიმოხილვის თაობაზე.
2. 2014 წლის 9 აპრილის წერილით ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის დირექტორმა დაადასტურა ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის მზადყოფნა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიმოხილვასთან დაკავშირებით, ეუთო-ს ვალდებულებებისა და კანონის უზენაესობის სფეროში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.
3. 2014 წლის 25 აპრილს, აღნიშნულ სფეროში ევროპის საბჭოს გამოცდილების გათვალისწინებით, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ თხოვნით მიმართა ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვისა და კანონის უზენაესობის გენერალური დირექტორატის დირექტორს მიმოხილვის ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის გენერალური დირექტორატის (DG I) ადამიანის უფლებათა დირექტორატთან (DHR) ერთობლივად ჩატარების თაობაზე.
4. წინამდებარე ერთობლივი მოსაზრება მომზადდა აღნიშნული თხოვნების გათვალისწინებით.

II. მიმოხილვის ფარგლები

5. ერთობლივ მოსაზრებაში გაანალიზებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (შემდგომში „კოდექსი“) თავსებადობა შესაბამის საერთაშორისო სტანდარტებსა და ეუთოს ვალდებულებებთან. შეზღუდულია რა ამგვარად, ერთობლივი მოსაზრება არ წარმოადგენს საქართველოს სისხლის სამართლის სისტემის სრულ და ყოვლისმომცველ მიმოხილვას.
6. წინამდებარე ერთობლივი მოსაზრება ეფუძნება ინგლისურ ენაზე კოდექსის არაოფიციალურ თარგმანს, რომელიც წარმოდგენილია დოკუმენტის #1 დანართის სახით. მიმოხილვაზე შეიძლება გავლენა იქონიოს თარგმანში დაშვებულმა შეცდომებმა.
7. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი და ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვისა და კანონის უზენაესობის გენერალური დირექტორატის დირექტორს მიმოხილვის ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის გენერალური დირექტორატი (შემდგომში „დირექტორატი“) აღნიშნავენ, რომ წინამდებარე ერთობლივი მოსაზრება არანაირად არ ეწინააღმდეგება წერილობით თუ ზეპირ რეკომენდაციებსა და შენიშვნებს კანონთან ან სხვა შესაბამის საკანონმდებლო აქტებთან დაკავშირებით, რომლებიც შესაძლოა შეიმუშაოს ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისმა ან დირექტორატმა მომავალში.

III. შემჯამებელი მიმოხილვა

8. ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისისა და დირექტორატის აზრით, კოდექსი, ზოგადად, შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებსა და შესაბამის სფეროში არსებულ წარმატებულ პრაქტიკას. თუმცა, კვლავ არსებობს გაუმჯობესების საჭიროება საპროცესო შეთანხმებების გადაჭარბებულად გამოყენებისა და სასჯელების უთანასწორობის რისკის შემცირების, ბრალდებულის უფლებების გაძლიერების მიზნით სასამართლო განხილვამდე და სასამართლო განხილვის ეტაპზე, აგრეთვე ბრალდებულის დაუსწრებლად (*in absentia*) საქმის განხილვისას. კოდექსის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის შემდგომში გაუმჯობესების მიზნით მიზანშეწონილია:

1. ძირითადი რეკომენდაციები:

A. შეიცვალოს პრევენციული ზომების შესახებ ძირითადი დებულებები წინასასამართლო განხილვასთან მიმართებით, კერძოდ:

- 1) კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილში დიფერენცირებული იქნეს, რომ გონივრული ეჭვი არსებობდეს როგორც ჩადენილ დანაშაულთან, ისე მართლმსაჯულების განხორციელებისათვის სავარაუდო თავის არიდებასთან/შემდგომ დანაშაულებრივ საქმიანობასთან მიმართებით; [პუნქტი 13]
- 2) 206-ე მუხლს დაემატოს, რომ სასამართლოებს მოეთხოვებათ პრევენციული ზომების გამოყენების, მათ შორის, ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანშეუწონლობის, დასაბუთება; ეს ასევე უნდა ეხებოდეს პროკურორის შუამდგომლობას იმავე მუხლის შესაბამისად; [პუნქტი 17]
- 3) განისაზღვროს პატიმრობის გაგრძელების პირობების ავტომატური და პერიოდული განხილვა სასამართლოს მიერ; [პუნქტი 18]

B. შეიცვალოს საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებული ძირითადი დებულებები, კერძოდ:

- 1) შეიზღუდოს საპროცესო შეთანხმების გამოყენება ნაკლებად მძიმე დანაშაულებთან მიმართებით და ამ კუთხით გაძლიერდეს გარანტიები ბრალდებულისათვის; [პუნქტები 21-22]
- 2) გაუქმდეს მოსამართლის მხრიდან საპროცესო შეთანხმების შესაძლებლობის აქტიურად გარკვევის

უფლებამოსილება (მუხლი 209, ნაწილი 2); [პუნქტი 23]

- C. გადაიხედოს ნაფიც მსაჯულთა ფუნქცია სასჯელის შეფარდების კუთხით ან მოსამართლეთა მონაწილეობა სასჯელის დასაბუთების პროცესში; [პუნქტი 28]
- D. 114-ე მუხლის მე-4 ნაწილში განისაზღვროს, რომ იმ მოწმეთა ჩვენებების დაშვებადობა, რომლებიც ჯვარედინად არ დაუკითხავს დაცვის მხარეს, უკიდურეს ზომას უნდა წარმოადგენდეს, როდესაც დაკითხვის ყველა სხვა ალტერნატიული ფორმა გაუმართლებელია ან შეუძლებელია მათი განხორციელება, და, რომ ასეთი მტკიცებულება სხვა მტკიცებულებებით უნდა გამყარდეს; [პუნქტი 34]
- E. დაწესდეს მოთხოვნა, რომ სასამართლო სხდომის დახურვა 182-ე მუხლის ფარგლებში მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა განხორციელდეს, როდესაც სასამართლო ამას აუცილებლად ჩათვლის, და ეხებოდეს მხოლოდ კონკრეტულ მტკიცებულებას, მოწმეს ან საკითხს, მათ შორის, საქმეს, რომელიც სახელმწიფო საიდუმლოებას ეხება; [პუნქტი 43]
- F. კოდექსიდან ამოღებული იქნეს საქმის განხილვა ბრალდებულის დაუსწრებლად (*in absentia*) ან, სულ მცირე, გაიზარდოს ასეთი სამართალწარმოების შედეგად მსჯავრდებულ პირთა დაცვის გარანტიები; [პუნქტები 47-48]
- G. განისაზღვროს დეტალური დებულება, თუ როდის და რა ვითარებაში არის შესაძლებელი მტკიცებულების დაცვის მხარისათვის დამალვა საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე; [პუნქტი 56]
- H. უზრუნველყოფილი იქნეს, რომ მოსამართლის ან სასამართლოს შემადგენლობის აცილების მოთხოვნის შემთხვევაში დამოუკიდებელმა მოსამართლემ ან სასამართლოს შემადგენლობამ მიიღოს გადაწყვეტილება შუამდგომლობის თაობაზე; [პუნქტი 59]
- I. ვალდებულება, ბრალდებული არ იქნეს ცნობილი დამნაშავედ ან უდანაშაულოდ 25-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაფართოვდეს და გავრცელდეს პოლიციის მოხელეებსა და პროკურორებზე; [პუნქტი 61]
- J. ამასთანავე, მე-4 მუხლის მე-2 ნაწილში განისაზღვროს, რომ დაუშვებელია წამებისა და არასათანადო მოპყრობის მუქარა. [პუნქტი 72]
- K. გაიზარდოს დაზარალებულთა უფლებები ინფორმაციასთან, დახმარებასა და კომპენსაციასთან დაკავშირებით; [პუნქტი 80]

2. დამატებითი რეკომენდაციები:

- L. 205-ე მუხლში განისაზღვროს, რომ სასამართლოს არ შეუძლია წინასწარი პატიმრობის შეფარდება, როდესაც ეჭვმიტანილი უკვე პატიმრობაში იმყოფება სხვა დანაშაულისათვის; [პუნქტი 15]
- M. 210-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულებს დაემატოს დებულებები უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების თაობაზე, რაზეც გავლენას არ ახდენს ბრალდებულთან საპროცესო შეთანხმება; [პუნქტი 24]
- N. განისაზღვროს ნაფიც მსაჯულთა დაუსაბუთებელი აცილების მიზანი და ნაფიც მსაჯულებს დაეკისროთ ვალდებულება, დაუყოვნებლივ განაცხადონ ამის თაობაზე, როდესაც აქვთ საფუძველი, იფიქრონ, რომ მათი მიუკერძოებლობა საეჭვოა; [პუნქტი 26]
- O. ნაფიცი მსაჯულისათვის შესაძლებლობის მიცემა, რთულ საქმეებზე ფაქტობრივი დასკვნები დააფუძნოს დანაშაულის კონკრეტული ელემენტების ჩამონათვალს და არა ზოგადად დანაშაულს; [პუნქტი 29]
- P. 104-ე მუხლში მიეთითოს, რომ საიდუმლო ინფორმაციის არგამჟღავნების წესიდან გამონაკლისის სახით სამართალწარმოების მონაწილეებს შეეძლოთ გარკვეული ინფორმაციის გამჟღავნება ადვოკატის კონსულტაციის მიღების მიზნით; [პუნქტი 31]
- Q. 111-ე მუხლში შევიდეს შემდეგი ცვლილებები:
 - 1) საგამომიებო მოქმედების ჩატარებისათვის წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში იძულების პროპორციული ზომის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საგამომიებო მოქმედება კანონიერია; [პუნქტი 33]
 - 2) ქირურგიული ან სამედიცინო გამოკვლევის სხვა მეთოდებისა და საშუალებების გამოყენებისათვის ან ასეთი მეთოდებისა და გამოკვლევების აკრძალვისათვის, თუ ისინი ეწინააღმდეგება ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს, აუცილებელია სასამართლოს განჩინება; [პუნქტი 74]
- R. 120-ე მუხლში შევიდეს შემდეგი ცვლილებები:
 - 1) განისაზღვროს გამონაკლისი იმ წესთან მიმართებით, რომ გამომძიებელს უფლება აქვს, ამოღების ან ჩხრეკის ადგილზე მყოფ პირებს შეუზღუდოს სხვა პირებთან ურთიერთობა, ადვოკატის კონსულტაციის მიღების მიზნით; [პუნქტი 32]

- 2) გადაიხედოს ამოღებული ნივთების ბრალდების მხარის მიერ პირველადი გამოკვლევის უფლება; [პუნქტი 35]
- S. ნათლად განისაზღვროს, რომ პირად ჩხრეკას მხოლოდ იმავე სქესის პირები ესწრებოდნენ და 111-ე მუხლის მე-9 ნაწილით გათვალისწინებული ექსპერტიზა იმავე სქესის მოხელემ ჩაატაროს; [პუნქტები 37-38]
- T. სავალდებულო გახდეს იმ პირის წინასწარი თანხმობა, რომლისგანაც ნიმუში უნდა იქნეს აღებული 147-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, როდესაც მას მოეთხოვება გახდა/სხეულის ინტიმური ნაწილების გამოჩენა ან, როდესაც ხდება მიყენებული დაზიანებების ფოტოგადაღება; [პუნქტი 39]
- U. კოდექსში გათვალისწინებული იქნეს სამართლიანი სასამართლო განხილვის საკითხი, როდესაც სასამართლო სხდომები გამოწვევის სახით სხდომათა დარბაზის გარეთ ტარდება; [პუნქტი 44]
- V. სასამართლო სხდომის თავმჯდომარის ფუნქციებს, რომლებსაც 25-ე მუხლი ითვალისწინებს, დაემატოს ვალდებულება, უზრუნველყოს ბრალდებულის უფლებების დაცვა და მოსამართლეს დაეკისროს ვალდებულება, შეახსენოს ბრალდებულს, რომ მას აქვს უფლება, არ მისცეს ჩვენება სასამართლო სხდომაზე (მუხლი 74); [პუნქტები 51 და 63]
- W. დაევალოს სასამართლოს, უზრუნველყოს პროაქტიულად, რომ სექსუალური დანაშაულის მსხვერპლი არ დაუპირისპირდეს სავარაუდო დამნაშავეს სასამართლო პროცესის დროს ან სასამართლოს შენობაში; [პუნქტი 53]
- X. სავალდებულო იყოს ბრალდებულის დარბაზიდან გაყვანა საქმის განხილვის დროს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელია მოწმეთა დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე, ამავდროულად, უზრუნველყოფილი უნდა იყოს ბრალდებულის უფლებების დაცვა; სასამართლო არ უნდა დაეყრდნოს მხოლოდ ანონიმური მოწმის განცხადებებს ბრალდებასთან დაკავშირებით; [პუნქტი 54]
- Y. 83-ე მუხლში დაზუსტდეს, რომ ბრალდების მხარეს ეკისრება ვალდებულება, მუდმივად და სპონტანურად გაუზიაროს ყველა ინფორმაცია დაცვის მხარეს, ხოლო დაცვის მხარეს ასეთი ვალდებულება ეხება მხოლოდ კეთილსინდისიერად შეტყობინებას; [პუნქტი 55]
- Z. განისაზღვროს ურთიერთგამომრიცხავი ჩვენების წაკითხვის საშუალება 243-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად დასაბუთებული ვარაუდის დამტკიცების აუცილებლობის გარეშე იმასთან დაკავშირებით, რომ მოწმე აიძულეს, დაემუქრნენ, დაამინეს ან მოისყიდეს; [პუნქტი 57]

- AA. უზრუნველყოფილი იქნეს, რომ გამოძიების სტადიაზე 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 332-ე მუხლით გათვალისწინებული დაკითხვის პროცედურის გამოყენება დაუყოვნებლივ გაუქმდეს კოდექსის დანარჩენ დებულებებთან შესაბამისობის მიზნით; [პუნქტი 58]
- BB. დაზუსტდეს მოსამართლეთა შეცვლის პროცედურა 183-ე და 184-ე მუხლებში და გაიზარდოს შესაბამისი პროცესუალური დაცვის მექანიზმები; [პუნქტი 60]
- CC. განისაზღვროს, რომ საგამომიებო ექსპერიმენტში მონაწილეობაზე უარი 130-ე მუხლის შესაბამისად არ იქნეს გამოყენებული ბრალდებულის წინააღმდეგ; [პუნქტი 62]
- DD. 44-ე მუხლში განისაზღვროს, რომ ადვოკატს არ მოეთხოვება ბრალდებულის მითითებების შესრულება, თუ ისინი ეწინააღმდეგება პროფესიულ ეთიკასა და კანონმდებლობას; [პუნქტი 64]
- EE. კოდექსში განისაზღვროს მამხილებელთა დაცვის საკითხი; [პუნქტი 65]
- FF. გაუმჯობესდეს პროცესუალური გარანტიები 55-ე მუხლით გათვალისწინებულ სასამართლოს მეგობრის (*Amicus Curiae*) მოსაზრებებთან მიმართებით; [პუნქტი 66]
- GG. განხილული იქნეს ხარჯის სახეების შემცირება, რომლებიც შეიძლება დაეკისროს ბრალდებულს 90-ე მუხლის შესაბამისად; [პუნქტი 67]
- HH. განისაზღვროს 93-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული შუამდგომლობის ხელახლა დაყენება იმავე საკითხზე ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო; [პუნქტი 68]
- II. 94-ე მუხლში შევიდეს შემდეგი ცვლილებები:
- 1) მხარეებს მიეცეთ საშუალება, გამოთქვან თავიანთი შეხედულებები მესამე მხარეთა მოსაზრებებზე; [პუნქტი 69]
 - 2) სავალდებულო გახდეს შუამდგომლობის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებების გასაჯაროება; [პუნქტი 70]
- JJ. 278-ე მუხლში კონკრეტულად განისაზღვროს წერილობითი განაჩენების გამოქვეყნების სავალდებულობა; [პუნქტი 71]
- KK. 101-ე მუხლში მიეთითოს, რომ მოსამართლე უფლებამოსილია, წამებისა და არასათანადო მოპყრობის შესახებ ბრალდებები გადასცეს პროკურატურას; [პუნქტი 73]
- LL. 144-ე მუხლის მე-2 ნაწილში განისაზღვროს, რომ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის შემთხვევაში სასამართლო სამედიცინო

- ექსპერტიზა არ წარმოადგენდეს მხოლოდ დაინტერესებული მხარის ინიციატივას; [პუნქტი 75]
- MM. კოდექსში გათვალისწინებული იქნეს დაცვის კონკრეტული დამატებითი ზომები არასრულწლოვან დაზარალებულთან მიმართებით; [პუნქტი 81]
- NN. კოდექსს დაემატოს სპეციალური დებულებები, რომლებიც მიზნად ისახავს ბრალდებულსა და ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა შორის უშუალო კონტაქტის თავიდან აცილებას და მსხვერპლს მიეცეს საშუალება, აირჩიოს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განმახორციელებელი მოხელის სქესი, რომელიც მის საკითხს განიხილავს; [პუნქტი 82]
- OO. განისაზღვროს, რომ მტკიცებულება მსხვერპლის სექსუალურ წარსულსა და ქცევასთან დაკავშირებით დასაშვები იყოს მხოლოდ მაშინ, როდესაც რელევანტური და აუცილებელია; [პუნქტი 83]
- PP. განისაზღვროს დევნის დაწყებაზე უარის შესახებ გადაწყვეტილებების სასამართლოს მიერ განხილვის შესაძლებლობა წამებასა და არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებულ საქმეებზე; [პუნქტი 85]
- QQ. დაზუსტდეს, თუ რამდენად ვრცელდება სატელეგრაფო გზავნილთან/კომუნიკაციასთან დაკავშირებული დებულებების (112-ე მუხლის მე-4 ნაწილი და 135-ე მუხლის მე-3 ნაწილი) მოქმედება ელექტრონულ მიმოწერაზე; [პუნქტი 86]
- RR. შემცირდეს 112-ე მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრული ჩხრეკის ორდერის მოქმედების ვადა; [პუნქტი 87]
- SS. მე-3 მუხლის მე-2 ნაწილში „ახლო ნათესავის“ განმარტებას დაემატოს „მასთან მუდმივად მცხოვრები პირი“; [პუნქტი 88]
- TT. უშუალოდ კოდექსით განისაზღვროს ზოგადი და საგამომიებო ქვემდებარეობის წესები; [პუნქტი 89]
- UU. მოწმის თაობაზე კოდექსის მე-3 მუხლის მე-20 ნაწილსა და 115-ე მუხლის 1-ლ ნაწილში დაემატოს დებულება დადასტურების თაობაზე (ფიცის დადების ალტერნატივის სახით); [პუნქტი 90] და
- VV. ბრალდებულის სამუშაოდან გათავისუფლებასთან დაკავშირებით 159-ე-161-ე მუხლებში შევიდეს ცვლილებები, რათა მხედველობაში იქნეს მიღებული დამსაქმებლის სურვილები და სასამართლოს დაეკისროს ვალდებულება, თავის გადაწყვეტილებებში დაასაბუთოს, თუ რატომ არ იყო შესაძლებელი ნაკლებად შემზღვევადი საშუალების გამოყენება; [პუნქტი 91].

IV. ანალიზი და რეკომენდაციები

1. პირველადი შენიშვნები

9. სისხლის სამართლის პროცესის სფეროში მოქმედი საერთაშორისო სტანდარტები ასახულია ადამიანის უფლებათა შესაბამის საერთაშორისო ინსტრუმენტებში, როგორცაა საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (შემდგომში „პაქტი“)¹ და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია (შემდგომში „ევროპული კონვენცია“).² განსაკუთრებით აღსანიშნავია სტანდარტები, რომლებიც ეხება თავისუფლების უფლებას (პაქტის მე-9 მუხლი, ევროპული კონვენციის მე-5 მუხლი) და სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებას (პაქტის მე-9 მუხლი, ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი). ეუთოს ვალდებულებები ასევე ხაზგასმით მიუთითებს სასამართლო სისტემისა და იურიდიული პროფესიის წარმომადგენელთა დამოუკიდებლობაზე (კოპენჰაგენი, 1990, პუნქტები 5.12 და 5.13; მოსკოვი, 1991, პუნქტები 19 და 20), ასევე თავისუფლების უფლებასთან დაკავშირებულ გარანტიებზე (მოსკოვი, 1991, პუნქტი 23).
10. ამასთანავე, მნიშვნელოვანია რბილი სამართლის მთელი რიგი ნორმები, მათ შორის, გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი #32 სასამართლოებისა და ტრიბუნალების წინაშე თანასწორობის უფლებისა და სამართლიანი სასამართლოს განხილვის უფლების შესახებ,³ გაეროს დეკლარაცია მართლმსაჯულების ძირითადი პრინციპების შესახებ დანაშაულის და ხელისუფლების ბოროტად გამოყენების მსხვერპლთათვის,⁴ ასევე ევროპის საბჭოს შესაბამისი რეკომენდაციები, როგორცაა რეკომენდაცია #R(92)17 წევრი სახელმწიფოების მიმართ სასჯელის შეფარდების თანმიმდევრულობის შესახებ⁵ და ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია #2000(19) სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში პროკურორის ფუნქციების შესახებ.⁶
11. საერთო ჯამში, კოდექსი ითვალისწინებს სტანდარტებს, რომლებიც

¹ საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, მიღებულია 1966 წლის 16 დეკემბერს, საქართველო შეუერთდა 1994 წლის 3 მაისს.

² ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, მიღებულია 1950 წლის 4 ნოემბერს, საქართველოს მიერ რატიფიცირებულია 1999 წლის 20 მაისს.

³ გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი 32, ხელმისაწვდომია ბმულზე: <http://www1.umn.edu/humanrts/gencomm/hrcom32.html>

⁴ გაეროს დეკლარაცია მართლმსაჯულების ძირითადი პრინციპების შესახებ დანაშაულის და ხელისუფლების ბოროტად გამოყენების მსხვერპლთათვის (შემდეგში „გაეროს დეკლარაცია დანაშაულის მსხვერპლთა შესახებ“), გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია, 1985 წლის 29 ნოემბერი, A/RES/40/34, ხელმისაწვდომია ბმულზე: <http://www.un.org/documents/ga/res/40/a40r034.htm>

⁵ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია #R(92)17 წევრი სახელმწიფოების მიმართ სასჯელის შეფარდების თანმიმდევრულობის შესახებ

⁶ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია #2000 (19) პროკურორის ფუნქციებზე სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში

ასახულია ადამიანის უფლებათა უნივერსალურ და რეგიონულ ინსტრუმენტებსა და საერთაშორისო დოკუმენტებში სისხლის სამართლის პროცესის საკითხებზე. თუმცა შესაძლებელია მთელი რიგი სფეროების იდენტიფიცირება გაუმჯობესების კუთხით. წინამდებარე ერთობლივ მოსაზრებაში განხილულია აღნიშნული სფეროები სისხლის სამართლის პროცესის კონკრეტულ სფეროებთან მიმართებით.

2. პრევენციული ზომები

12. კოდექსი ადგენს მთელ რიგ ე.წ. „პრევენციულ ზომებს“, რომელთა შეფარდებაც შეუძლიათ სასამართლოებს იმ მიზნით, რომ ბრალდებულმა თავი არ აარიდოს სასამართლოში გამოცხადებას, აღიკვეთოს მისი შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობა ან უზრუნველყოფილი იქნეს განაჩენის აღსრულება (მუხლი 198, ნაწილი 1). ასეთი ღონისძიებებია გირაო, პირადი თავდებობა (ეხება ბრალდებულის ქცევასა და სასამართლოს წინაშე გამოცხადებას), შეთანხმება გაუსვლელიობისა და სათანადო ქცევის შესახებ და პატიმრობა (მუხლი 199, ნაწილი 1). ბრალდებულის უფლება-მოვალეობების შესახებ 38-ე მუხლის მე-12 ნაწილის თანახმად, „ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით არ უნდა შეეფარდოს პატიმრობა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს მისი მიმალვის, შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობის, მოწმეზე ზემოქმედების, მტკიცებულების განადგურების ან განაჩენის აღუსრულებლობის საფრთხე“. 198-ე მუხლი მე-2 ნაწილი კვლავ მიუთითებს იმავე საფუძვლებზე და ადგენს, რომ პატიმრობის ან სხვა აღკვეთის ღონისძიებების გამოყენებისათვის დასაბუთებული ვარაუდი უნდა არსებობდეს ამ ქმედებებთან მიმართებით. უფრო მეტიც, 198-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, პატიმრობის შეფარდება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მიზნების მიღწევა შეუძლებელია სხვა, ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებით.
13. ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის თანახმად, პირის დაკავება შესაძლებელია სისხლის სამართლის კონტექსტში უფლებამოსილი სასამართლო ორგანოს წინაშე მის წარსადგენად, როდესაც არსებობს სამართალდარღვევის ჩადენის საფუძვლიანი ეჭვი. ასეთი კონკრეტული საფუძვლიანი ეჭვის არსებობაზე სათანადოდ არ მიუთითებს 198-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომელიც ეხება მხოლოდ დასაბუთებული ვარაუდს ბრალდებულის მიმალვასთან, შემდგომ დანაშაულებრივ საქმიანობასთან, აგრეთვე მოწმეზე ზემოქმედებასთან ან მტკიცებულების განადგურებასთან, განაჩენის აღუსრულებლობასთან მიმართებით. იმის უზრუნველსაყოფად, რომ პირის დაკავება და დაპატიმრება სასამართლო განხილვამდე განხორციელდეს მის მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ მხოლოდ საფუძვლიანი ეჭვის არსებობის შემთხვევაში, რეკომენდებულია, 198-ე მუხლის მე-2 ნაწილში აღნიშნული იყოს საფუძვლიანი გონივრული ეჭვი/დასაბუთებული ვარაუდი როგორც დანაშაულის ჩადენასთან, ისე მართლმსაჯულების განხორციელებისათვის თავის არიდებასთან ან

შემდგომ დანაშაულებრივ საქმიანობასთან მიმართებით.

14. მიუხედავად იმისა, რომ მე-200-205-ე მუხლებში თანმიმდევრულად არის განხილული აღკვეთის ღონისძიებები, 206-ე მუხლი უფრო დეტალურად ეხება პრევენციული ღონისძიების გამოყენებას, შეცვლასა და გაუქმებას. 206-ე მუხლის მე-6 ნაწილი აღწერს პრევენციული ღონისძიების შესახებ განჩინების შინაარსს.
15. 205-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ბრალდებულის პატიმრობის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს. იმ შემთხვევებში, როდესაც პირს ბრალად ედება რამდენიმე დანაშაულის ჩადენა, რომლებიც სხვადასხვა ფაქტებს შეიცავს, წინასწარი პატიმრობა არ უნდა შეეფარდოს, თუ ბრალდებული უკვე დაკავებულია ეჭვის საფუძველზე, რომ მან ჩაიდინა ხვა დანაშაული. ამ თვალსაზრისით მიზანშეწონილია, 205-ე მუხლში მიეთითოს, რომ სასამართლოს შეუძლია შეუფარდოს პატიმრობა მხოლოდ მაშინ, როდესაც ბრალდებული არ იმყოფება პატიმრობაში სხვა დანაშაულისათვის, ან პატიმრობის ვადა დასასრულს უახლოვდება. არაერთგზისი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, რომელიც მრავალ ფაქტს შეიცავს, უნდა შეფასდეს მართლმსაჯულების განხორციელებისათვის თავის არიდების ან შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობის ალბათობა. ეს მნიშვნელოვანია იმის უზრუნველსაყოფად, რომ თავისუფლების აღკვეთა ყოველთვის ადეკვატური და გამართლებული იყოს (ქვემოთ ასევე იხ. პუნქტები 17-18).
16. ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი მოითხოვს დაპატიმრების მართლზომიერების სწრაფ სასამართლო განხილვას ან ეჭვმიტანილის გათავისუფლებას. ამასთანავე, პაქტის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის განსაზღვრავს, რომ პატიმრობის შეფარდება იმ პირისათვის, რომელიც ელოდება სასამართლო განხილვას, არ უნდა იყოს ზოგადი წესი. მოსამართლემ უნდა შეისწავლოს ყველა ფაქტი, რომელიც უარყოფს ან ადასტურებს ფაქტს, რომ პირის თავისუფლების პატივისცემის წესიდან გადახვევა საზოგადოებრივ ინტერესს წარმოადგენს.⁷
17. როგორც ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, „მხოლოდ დასაბუთებული გადაწყვეტილების მეშვეობით არის შესაძლებელი მართლმსაჯულების განხორციელების საზოგადოებრივ ჭრილში განხილვა“.⁸ კერძოდ, სასამართლოებმა, უპირველეს ყოვლისა, უნდა გაითვალისწინონ ნაკლებად მკაცრი პრევენციული ზომები.⁹ მართალია, მოქმედი კოდექსის 198-ე მუხლის მე-3 პუნქტი პროკურორს ავალდებულებს მის მიერ მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიების მიზანშეწონილობისა და სხვა, ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანშეუწონლობის დასაბუთებას, 206-

⁷ იხ. საქმე *Letellier v France*, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, 1991 წლის 26 ივნისი, # [12369/86](#), პუნქტი 35.

⁸ იხ. საქმე *Tase v. Romania*, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, 2008 წლის 10 ივნისი, #[29761/02](#), პუნქტი 41.

⁹ იხ., მაგ. საქმე *Ambruszkiewicz v. Poland*, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, 2006 წლის 4 მაისი, #[38797/03](#), პუნქტი 32; *Lloyd and others v. United Kingdom*, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, 2005 წლის 1 მარტი, #[29798/96](#), პუნქტები 112 & 113.

ე მუხლის მე-5 ნაწილი, რომელიც განსაზღვრავს პროკურატურის შუამდგომლობის შინაარსს, არ ითვალისწინებს აღნიშნულ მოთხოვნას. უფრო მეტიც, ამავე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილებაში პრევენციული ღონისძიების თაობაზე „უნდა მიეთითოს, რა არის განჩინების არსი და ვისზე ვრცელდება“, მაგრამ არ მოითხოვს პატიმრობის მიზეზების სათანადო მითითებას, კერძოდ, თუ რატომ არ არის მიზანშეწონილი სხვა, ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიებები დასახული მიზნის მისაღწევად (მიუხედავად იმისა, 198-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სასამართლოს მოეთხოვება ასეთი შეფასების გაკეთება). თვითნებური დაკავების რისკის შესამცირებლად მიზანშეწონილია, რომ პროკურორს თავის შუამდგომლობაში 206-ე მუხლის მე-2 და მე-5 ნაწილებით გათვალისწინებული პრევენციული ზომების გამოყენების შესახებ მოეთხოვებოდეს, მკაფიოდ მიუთითოს, რატომ არ არის საკმარისი ნაკლებად მკაცრი პრევენციული ღონისძიება. ანალოგიურად და მნიშვნელოვანწილად, მიზანშეწონილია, რომ სასამართლოს თავის გადაწყვეტილებაში 206-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული პრევენციული ზომების გამოყენების შესახებ, მოეთხოვებოდეს, მკაფიოდ დაასაბუთოს პატიმრობის შეფარდების საფუძველი და მიუთითოს, რატომ არის აუცილებელი ნაკლებად მკაცრი პრევენციული ღონისძიებისაგან განსხვავებული პრევენციული ღონისძიების გამოყენება. რაც შეეხება ინფორმაციას 206-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული გასაჩივრების პროცედურების შესახებ, ივარაუდება, რომ აღნიშნული ვრცელდება გასაჩივრების ვადებზეც.

18. ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის თანახმად, წინასწარი პატიმრობის სამართლებრივი საფუძვლის არსებობის მოთხოვნა ვრცელდება პატიმრობის მთელ პერიოდზე. სასამართლოები მუდმივად უნდა განიხილავდნენ იმ პირთა პატიმრობის საკითხს, რომლებიც ელოდებიან განაჩენის გამოცხადებას, რათა უზრუნველყოფილი იქნეს გათავისუფლება, როდესაც საქმეზე არსებული გარემოებებიდან გამომდინარე თავისუფლების აღკვეთა აღარ არის გამართლებული.¹⁰ შეიძლება გარემოებები შეიცვალოს და, თუმცა პატიმრობის პირობები შესაძლებელია არსებობდეს გამოძიების საწყის ეტაპზე, შესაძლოა ისინი აღარ იყოს ქმედითი მოგვიანებით. წინასწარი პატიმრობის შეფარდების შემთხვევაში კომპეტენტურმა ორგანოებმა საქმე განსახილველად უნდა გადასცენ სასამართლო ზედამხედველობას (რომელიც უნდა იყოს ისეთივე მკაცრი, როგორც პირველადი განხილვის დროს) რეგულარული ინტერვალებით.¹¹ შესაბამისად, რეკომენდებულია, კოდექსი ითვალისწინებდეს პატიმრობის

¹⁰ იხ. *I.A. v France*, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, 23 სექტემბერი, 1998, განაცხადი #28213/95, პუნქტი 111.

¹¹ მონიკა მაკოვეი, *პირის თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება - ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის განხორციელების პრაქტიკული სახელმძღვანელო*, ადამიანის უფლებათა გზამკვლევი #5, ევროპის საბჭო, 2002, გვ. 58-59; *Herczegfalvy v. Austria*, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, 24 სექტემბერი, 1992, განაცხადი #10533/83, პუნქტი 75. აგრეთვე იხ. *Giorgi Nikolaishvili v. Georgia*, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, 13 იანვარი, 2009, განაცხადი #37048/04, პუნქტი 75.

გაგრძელების პირობების ავტომატურ და პერიოდულ განხილვას სასამართლოს მიერ.

3. საპროცესო შეთანხმება

19. კოდექსი ითვალისწინებს საპროცესო შეთანხმებისა და თანამშრომლობის ღია სისტემას (მუხლი 218), რომელიც გამოიყენება ყველა ბრალდებასთან, მათ შორის, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის ბრალდებასთან, მიმართებით, როგორცაა მკვლელობა ან ტერორიზმი. აღნიშნული ვრცელდება შეთანხმებაზე როგორც ბრალდებაზე, ისე სასჯელზე (მუხლები 209-213). საქართველო ერთ-ერთი ქვეყანაა ეუთოსა და ევროპის საბჭოს რეგიონის რამდენიმე სახელმწიფოს შორის, სადაც საპროცესო შეთანხმების ასეთი სისტემა მოქმედებს. ყველა სხვა ქვეყანაში ფუნქციონირებს საქმეზე მორიგების სხვადასხვა „კონსენსუალური“ მექანიზმი, თუმცა ისინი, როგორც წესი, გამოიყენება მხოლოდ ნაკლებად მძიმე დანაშაულებთან მიმართებით. მაგალითად, ზოგ ქვეყანაში საპროცესო შეთანხმება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დანაშაულებრივი ქმედება ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 5 წლამდე (იტალია, საფრანგეთი), 6 წლამდე (ესპანეთი) ან თუნდაც 10 წლამდე (რუსეთის ფედერაცია). გერმანიაში, სადაც ბრალდებულს შეუძლია მოსამართლეს მიმართოს შუამდგომლობით შეთანხმების თაობაზე სასამართლოს წინაშე დანაშაულის აღიარების დროს, პროცედურა გამოიყენება ყველა დანაშაულთან მიმართებით, მაგრამ შეთანხმება მხოლოდ ეხება სასჯელის ფარგლებს და არა ბრალდებას. ზემოხსენებული პროცედურების უმეტესობა არ ითვალისწინებს ბრალდებაზე გარიგებას, რაც აშშ-ისთვის არის დამახასიათებელი.
20. თუმცა, აშშ-ის ფედერალური საპროცესო შეთანხმებისაგან განსხვავებით, საქართველოში სხდომის თავმჯდომარე მოსამართლე სიღრმისეულად მონაწილეობს პროცესში და, ფაქტობრივად, არკვევს, ბრალდებული არის თუ არა დაინტერესებული საქმეზე საპროცესო შეთანხმებით და შეუძლია *ex parte* განხილვის დაწყება, როგორც, მაგალითად, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დროს (მუხლი 230, ნაწილი 3). ამასთანავე, აშშ-ის საპროცესო შეთანხმებისაგან განსხვავებით, საქართველოში მოსამართლე ვალდებულია, ფაქტობრივად შეამოწმოს საქმის მასალები და დარწმუნდეს, დასაბუთებულია თუ არა ბრალდება, არის თუ არა კანონიერი და სამართლიანი მითითებული სასჯელი და ბრალის აღიარება მოხდა თუ არა ნებაყოფლობით (მუხლი 213, ნაწილი 3). მიუხედავად იმისა, რომ პროკურორი ვალდებულია გაიაროს კონსულტაცია და დაზარალებულს შეატყობინოს საპროცესო შეთანხმების დადება, დაზარალებულს უფლება არა აქვს, გაასაჩივროს საპროცესო შეთანხმება (მუხლი 217, ნაწილი 2).
21. მიუხედავად იმისა, რომ მისასალმებელია კოდექსით გათვალისწინებული საპროცესო შეთანხმების ზემოხსენებული ზოგიერთი ასპექტი, მაგალითად, მოსამართლის ვალდებულება, დეტალურად შეისწავლოს საქმის მასალები, უნდა აღინიშნოს, რომ საპროცესო შეთანხმების სისტემა არ შეიცავს საკმარის გარანტიებს ბრალდებულის დასაცავად გადაჭარბებული ზეწოლისაგან იმ

საქმეებზე, რომლებიც მაქსიმალურ სასჯელს ითვალისწინებს. ასეთი გაუმართლებელი ზეწოლის გამო ბრალდებული, სავარაუდოდ, შეიძლება შეეცადოს სასამართლოსაგან თავის არიდებას. ამიტომ რეკომენდებულია, საქართველომ შეინარჩუნოს საპროცესო შეთანხმება ნაკლებად მძიმე დანაშაულებთან, მაგალითად, იმ ქმედებებთან მიმართებით, რომელთა ჩადენისათვის გათვალისწინებულია ჯარიმა ან, მაქსიმუმ, თავისუფლების აღვითა არა უმეტეს 5 ან 6 წლისა.

22. ამავდროულად, საპროცესო შეთანხმებასთან მიმართებით მიზანშეწონილია დამატებითი, უფრო სპეციალური გარანტიების დანერგვა. ისინი შესაძლოა ითვალისწინებდეს, მაგალითად, მოთხოვნას, მოსამართლე დარწმუნდეს, რომ საპროცესო შეთანხმება არ არის მოტყუების, პროვოკაციის ან უფლებების შესახებ ინფორმაციის არქონის შედეგი; მოსამართლის ვალდებულებას, გაარკვიოს, ბრალდებულს გაეწია თუ არა სათანადო ადვოკატის დახმარება მთელი პროცესის განმავლობაში და მიეწოდა თუ არა ინფორმაცია მისი უფლებების, მათ შორის, საკუთარი თავის მხილებისაგან დაცვის, დუმილის უფლების, უდანაშაულობის პრეზუმფციის, აგრეთვე ბრალდების მხარისათვის დაკისრებული დანაშაულის გონივრულ ეჭვს მიღმა დადასტურების მტკიცების ტვირთის შესახებ.
23. კოდექსის 209-ე მუხლის მე-2 ნაწილის წინადადება, რომ სასამართლოს შეუძლია აქტიურად შეუწყოს ხელი საპროცესო შეთანხმების დადებას საქმის განხილვისა და დაცვის დასრულებამდე,¹² პოტენციურად შეიძლება გამოხატავდეს საქმის განმხილველი სასამართლოს მხრიდან მიკერძოებულობას, რადგან შეიძლება დასაწყისშივე ჩაითვალოს, რომ საქმის განმხილველი სასამართლო, ფაქტობრივად, აღიარებს ბრალდებულის მიერ სადავო ქმედების ჩადენას. იმის გათვალისწინებით, რომ ხსენებულმა შეიძლება პოტენციურად გამოიწვიოს უდანაშაულობის პრეზუმფციის პატივისცემის ხელყოფა, მიზანშეწონილია ამ დებულების გადახედვა.
24. მისასაღმებელია 201-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად ისეთი საპროცესო შეთანხმების დადების აკრძალვას, რომელიც უზღუდავს ბრალდებულს უფლებას, წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შემთხვევაში მოითხოვოს შესაბამის პირთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებას. თუმცა ამ დებულების ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილია, 210-ე მუხლის მე-5 ნაწილი გაფართოვდეს და დაკონკრეტდეს, რომ საპროცესო შეთანხმება, ამასთანავე, არ უნდა ზღუდავდეს მოთხოვნას ხელისუფლების წარმომადგენელთა დასჯასთან დაკავშირებით ისეთი ქცევისათვის, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ძალაუფლების ბოროტად გამოყენებად (და, რომელიც ხშირად გამოიყენება, როგორც წამების ბრალდების ალტერნატივა).

¹² Cf. აგრეთვე მუხლები 197 (1)(ე), 219 (2) და 230 (3).

4. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო

25. საქართველოს ნაფიც მსაჯულთა სისტემაში (კოდექსის 221-ე-223-ე მუხლები) ნაფიც მსაჯულებს ირჩევენ მსაჯულთა სიიდან. შერჩევის სხდომამდე მსაჯულობის კანდიდატებს შეუძლიათ მოსამართლის წინაშე დააყენონ შუამდგომლობა თვითაცილების შესახებ. თვითაცილება დასაბუთებული უნდა იყოს. თვითაცილების შესახებ შუამდგომლობას განიხილავს მოსამართლე. მხარეებს უფლება აქვთ, გამოთქვან თავიანთი დამოკიდებულება მსაჯულობის კანდიდატის თვითაცილებისადმი. გარდა ამისა, მხარე უფლებამოსილია დააყენოს მსაჯულობის კანდიდატის აცილების შესახებ შუამდგომლობა თავისი შეხედულებისამებრ (თუმცა არა დისკრიმინაციული მიზეზების გამო) ე.წ. „დაუსაბუთებელი აცილების“ მეშვეობით. შესაძლებელია აცილების რაოდენობის გაზრდა იმ შემთხვევებში, როდესაც წარდგენილი ბრალდება სასჯელის სახით ითვალისწინებს უვადო თავისუფლების აღკვეთას, ან საქმეში რამდენიმე ბრალდებულია.
26. მსაჯულთა შერჩევა მიზნად ისახავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიუკერძოებლობის უზრუნველყოფას (რამდენადაც ეს შესაძლებელია). თუმცა ზემოაღნიშნულ დებულებებში ეს მიზანი არ იკვეთება. იმ შემთხვევაში, როდესაც კითხვების დასმის შემდეგ აუცილებელია დაუსაბუთებელი აცილების დაყენება, მიზანშეწონილია, დაზუსტდეს, რომ აღნიშნული პროცედურები გამოყენებული იქნება იმისთვის, რომ ნაფიც მსაჯულთა ობიექტური მიუკერძოებლობა ეჭვის ქვეშ არ დადგეს. ამ კონტექსტში კოდექსის 223-ე მუხლის მე-7 ნაწილში აღნიშნულია, რომ ნაფიც მსაჯულს შეუძლია „დააყენოს შუამდგომლობა თვითაცილების შესახებ“ უფლებამოსილი მოსამართლის წინაშე და მიუთითოს იმ გარემოებაზე, რომელიც მას ხელს შეუშლის ნაფიცი მსაჯულის უფლებამოსილების განხორციელებაში. ნაფიც მსაჯულთა მიუკერძოებლობის განსამტკიცებლად მიზანშეწონილია, 223-ე მუხლში მიეთითოს, რომ იმ შემთხვევებში, როდესაც ნაფიც მსაჯულთა კანდიდატს აქვს საფუძველი, იფიქროს, რომ მისი სუბიექტური ან ობიექტური მიუკერძოებლობა შეიძლება ეჭვქვეშ დადგეს, ვალდებულია ამის თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობოს მოსამართლეს.¹³
27. საქართველოში ნაფიცი მსაჯულები იღებენ გადაწყვეტილებას სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულის ბრალეულობის ან უდანაშაულობის შესახებ (იხ. 256-ე მუხლი) და, ამასთანავე, მონაწილეობენ სასჯელის სახისა და ზომის განსაზღვრაში, რომლებიც მსჯავრდებულს შეეფარდება (მუხლები 264-265). ნაფიცი მსაჯულები იღებენ რეკომენდაციას, რომლის საფუძველზეც მოეთხოვება მოსამართლეს სასჯელის დანიშვნა სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრული მაქსიმალური ან მინიმალური ზღვრის ფარგლებში. ამ სისტემას აქვს ორი პრობლემა. პირველ რიგში, არ არსებობს დანიშნული სასჯელის ზღვრის დასაბუთების ვალდებულება (მუხლი 265, პუნქტი 3), რის გამოც ბრალდებულისათვის შეიძლება

¹³ Cf. *Holm v Sweden*, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, 1993 წლის 25 ნოემბერი, #14191/88

ბუნდოვანი იყოს, თუ რატომ შეეფარდება მას სასჯელის კონკრეტული ზომა. მეორე, რადგან ნაფიც მსაჯულებს არ აქვთ არანაირი იურიდიული განათლება, ამ გარემოებამ შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს, თუ რამდენად უზრუნველყოფს სისტემა თანმიმდევრულობას სასჯელის შეფარდებისას, რადგან ნაფიც მსაჯულებმა შეიძლება განსაზღვრონ სასჯელი პირადი შეხედულებების ან მასმედიის გავლენის საფუძველზე. ევროპული სტანდარტები მოითხოვს როგორც დაკისრებული სასჯელის ზღვრის დასაბუთებას, ისე დაუსაბუთებელი არაპროპოციულობის თავიდან აცილებას სასჯელის შეფარდებისას.¹⁴

28. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შესაძლებელია სხვადასხვა ვარიანტების განხილვა. ერთ-ერთი მათგანი გულისხმობს სასჯელის შეფარდების მთლიანი უფლებამოსილების მოსამართლეებისათვის მინიჭებას.¹⁵ მეორე ალტერნატივაა მოსამართლეებისა და ნაფიცი მსაჯულების ერთობლივი მონაწილეობა სასჯელის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, ხოლო მოსამართლეებისათვის მთლიანი პასუხისმგებლობის დაკისრება დანიშნული სასჯელის დასაბუთებაზე.¹⁶ თანმიმდევრობისა და სასჯელების შესახებ სათანადოდ დასაბუთებული გადაწყვეტილებების უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილია, გადაიხედოს ის მნიშვნელოვანი ფუნქცია, რომელიც ნაფიც მსაჯულების აკისრიათ სასჯელის შეფარდების პროცესში, და სასჯელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების ფუნქცია მოსამართლეს მიენიჭოს, ან, ალტერნატივის სახით, მოსამართლემ მიიღოს მონაწილეობა სასჯელის განსაზღვრისა და დასაბუთების შესახებ გადამწყვეტილების მიღების პროცესში.

29. სხდომის თავმჯდომარის განმარტებები ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსადმი, როგორც ეს გათვალისწინებულია 231-ე მუხლის მე-4 ნაწილით, საკმაოდ ზოგადი ხასიათისაა. იმის უზრუნველსაყოფად, რომ საბოლოო ჯამში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გადაწყვეტილება მკაფიოდ და დეტალურად იყოს დასაბუთებული, ნაფიცმა მსაჯულებმა უნდა იცოდნენ დანაშაულის ძირითადი ელემენტები, განსაკუთრებით რთული და მძიმე დანაშაულების შემთხვევაში. ამის მიღწევა შესაძლებელია, მაგალითად, სხდომის თავმჯდომარე მოსამართლის მიერ ნაფიც მსაჯულების განმარტებების მიცემის ან მათი ზედამხედველობის მეშვეობით, რაც შეიძლება ითვალისწინებდეს ფაქტობრივი გარემოებების შესახებ ზუსტი და ცალსახა კითხვების ჩამონათვალს.¹⁷ ამ გზით, ბრალდებულს შეეძლება ვერდიქტის დასაბუთების გააზრება პირდაპირ ან მოსამართლის, პროკურორისა და/ან ბრალდებულის მიერ ნაფიცი

¹⁴ იხ. სასჯელის შეფარდების თანმიმდევრულობის თაობაზე მინისტრთა კომიტეტის #R(92)17 რეკომენდაციის განმარტებითი მოხსენება, ხელმისაწვდომია ბმულზე: [http://www.coe.int/t/dghl/standardsetting/prisons/Recommendation%20R%20\(92\)%2017_E.pdf](http://www.coe.int/t/dghl/standardsetting/prisons/Recommendation%20R%20(92)%2017_E.pdf).

პუნქტი E (1) და (2).

¹⁵ იხ., მაგ, მონტანას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლი

¹⁶ იხ., მაგ, მუხლი 355 და ა.შ., საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი.

¹⁷ იქვე

მსაჯულისათვის დასმულ კონკრეტულ და დეტალურ კითხვებზე პასუხების მეშვეობით,¹⁸ რომლებიც დაერთვის გადაწყვეტილებას და მის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. ქართული სისტემა არ ავალდებულებს ნაფიც მსაჯულებს დეტალური კითხვების თანმიმდევრობის დაცვასა და პასუხის გაცემას დანაშაულის სხვადასხვა ელემენტთან დაკავშირებით. ეს არც გასაჩივრების პროცესზე ხორციელდება, რა დროსაც არ ხდება საქმეზე არსებული ფაქტობრივი გარემოებების ხელახლა შესწავლა (*de novo*).¹⁹ მიზანშეწონილია, მოსამართლეს მიეცეს შესაძლებლობა, რთულ საქმეებზე მოსთხოვოს ნაფიც მსაჯულს ფაქტობრივი დასკვნების გაკეთება დანაშაულის კონკრეტული ელემენტების შესახებ ჩამონათვალის და არა მხოლოდ ზოგადად ბრალდების (თითოეულ მათგანზე) საფუძველზე. ამ პროცესს შეიძლება ხელი შეუწყოს კონკრეტული კითხვების ჩამონათვალმა, რომლითაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლო იხელმძღვანელებს დასკვნების გამოტანისას.

5. სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება

5.1 წინასასამართლო განხილვის ეტაპი

30. მიუხედავად იმისა, რომ სისხლისსამართლებრივი ბრალდება არ განისაზღვრება სამართალწარმოების წინასწარი პატიმრობის ეტაპზე, ამ ეტაპზე განხორციელებული ზომებს პირდაპირი გავლენა აქვს შემდგომი სამართალწარმოების წარმართვასა და სამართლიანობაზე.²⁰ ეს ნიშნავს, რომ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს განხილვის უფლებები ასევე მნიშვნელოვანია წინასწარი პატიმრობის ეტაპზე. ამ კონტექსტში შეშფოთებას იწვევს წინასასამართლო განხილვასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი.
31. 104-მუხლის შესაბამისად, პროკურორი/გამომძიებელი ვალდებულია უზრუნველყოს, რომ გამოძიების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია არ გახდეს საჯარო. ამ მიზნით ის უფლებამოსილია, დაავალდებულოს

¹⁸ იხ., მაგ. *ევროპული სასამართლოს 2001 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილება #54210/00 საქმეზე*, რომელშიც სასამართლომ დაადგინა, რომ პროკურორსა და ბრალდებულს ჰქონდათ ნაფიც მსაჯულებისათვის დასმული კითხვების გაპროტესტების საშუალება და შეეძლოთ სასამართლოს თავმჯდომარისათვის ეთხოვათ ერთი ან მეტი დამატებითი კითხვის დასმა ნაფიცი მსაჯულებისათვის. 1-ლი ინსტანციის სასამართლოს თავმჯდომარის მიერ ბევრი (768) კითხვის დასმა „წარმოადგენდა ჩარჩოს, რომელსაც ეფუძნებოდა გადაწყვეტილება“, და სასამართლომ დაადგინა, რომ კითხვების ზუსტი არსი „საკმარისად აბალანსებდა იმ ფაქტს, რომ მსაჯულის პასუხები არ იყოს დასაბუთებული“. ამდენად, ეს პასუხები აისახა 1-ლი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაში, რომლის დასაბუთებაც საკმარისად ჩაითვალა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

¹⁹ Cf. საქმე *Taxquet v. Belgium*, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, 16 ნოემბერი, 2010, #[926/05](#), პუნქტი 92

²⁰ საქმე *Vera Fernández-Huidobro v. Spain*, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, 6 იანვარი, 2010, #[74181/01](#), პუნქტი 108-114

სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეები, რომ მისი ნებართვის გარეშე არ გაამჟღავნოს ინფორმაცია. ასეთი უფლებამოსილება, როგორც ჩანს, ზედმეტად ფართოა. არ უნდა იკრძალებოდეს ინფორმაციის გამჟღავნება ადვოკატისათვის დაცვის მომზადების მიზნით, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული გარანტიების გამოიყენება მაშინაც, როდესაც პირს ჯერ კიდევ არ ედება ბრალი დანაშაულის ჩადენაში.²¹ მიზანშეწონილია, დაშვებული იქნეს გამონაკლისი ინფორმაციის გამჟღავნებაზე ადვოკატის დახმარების მიზნებისათვის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად.

32. ანალოგიურად, 120-ე მუხლთან (ჩხრეკისა და ამოღების წესი) დაკავშირებით, ორდერის აღსრულებისას მე-3 ნაწილის შესაბამისად გამომძიებელს უფლება აქვს, ამოღების ან ჩხრეკის ადგილზე მყოფ ან იქ მისულ პირებს ამოღების ან ჩხრეკის დამთავრებამდე აუკრძალოს წასვლა, ერთმანეთთან ან სხვა პირთან ურთიერთობა. ამ უკანასკნელ საკითხის თვალსაზრისით შეიძლება წამოიჭრას გარკვეული პრობლემა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტთან მიმართებით, თუ ეს შეზღუდვა ასევე ვრცელდება იმ პირთა მიმართ, რომლებსაც თავიანთ კანონიერ წარმომადგენელთან დაკავშირების სურვილი აქვთ. მიზანშეწონილია, 120-ე მუხლის მე-3 ნაწილში ცვლილების შეტანა და გამონაკლისის გათვალისწინება ისეთ შემთხვევებთან მიმართებით, როგორცაა კონტაქტი კანონიერ წარმომადგენელთან, და დაკონკრეტება, რომ ამ უფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც ამას მოითხოვს მართლმსაჯულების ინტერესები.
33. რაც შეეხება 111-ე მუხლის მე-7 ნაწილს საგამომიებო მოქმედების ჩატარებისათვის წინააღმდეგობის გაწევასთან დაკავშირებით, მიზანშეწონილია, სიცხადისა და კანონიერების თვალსაზრისიდან გამომდინარე, მიეთითოს, რომ ასეთი ღონისძიებები დასაშვებია მხოლოდ კანონიერი საგამომიებო მოქმედების შემთხვევაში.
34. როდესაც მოწმის დაკითხვა გამოძიების სტადიაზე ხორციელდება სასამართლოს ფარგლებს გარეთ, 114-ე მუხლის მე-4 ნაწილი ითვალისწინებს მოწმის დაკითხვას წინასწარ ინფორმირებისა და ადვოკატის დასწრების გარეშე, თუ ეს განპირობებულია მართლმსაჯულების ინტერესებითა და მოსამართლის გადაწყვეტილებით. ასეთ შემთხვევაში მოწმის მიერ მიცემული ჩვენება საქმის არსებითი განხილვისას დაუშვებელი მტკიცებულებაა, „თუ შესაძლებელია მისი ხელახალი დაკითხვა.“ ეს იმას ნიშნავს, რომ თუ მოწმე არ დაიკითხება ხელახლა, დაკითხვა ჩაითვლება დაშვებულად, მიუხედავად იმისა, რომ დაკითხვის დროს დაცვის მხარეს არ ჰქონია მოწმის დაკითხვის შესაძლებლობა. თუმცა კოდექსის 118-ე მუხლის მე-3 ნაწილი ითვალისწინებს გარანტიას, რომ ეს ჩვენება არ შეიძლება საფუძვლად დაედოს გამამტყუნებელ განაჩენს, ასეთი პრაქტიკა შეეფოთებას იწვევს. თუ საერთოდ დასაშვები იქნება, ასეთი სახით დაკითხვა უკიდურეს

²¹ საქმე *Deweert v Belgium*, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, 27 თებერვალი, 1980 #6903/75, პუნქტი 41-47

ზომას უნდა წარმოადგენდეს, როდესაც დაკითხვის ყველა სხვა ალტერნატიული ფორმა გაუმართლებელია ან შეუძლებელია მათი განხორციელება²², ხოლო სასამართლომ მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა მიიღოს, როდესაც სხვა მტკიცებულებებით დასტურდება.²³ შესაბამისად, რეკომენდებულია 114-ე მუხლის მე-4 ნაწილში გათვალისწინებული იქნეს მოთხოვნა, რომ მტკიცებულების მიღება მოწმისაგან, რომელიც არ ყოფილა ჯვარედინ დაკითხვაზე დაცვის მხარის მიერ სამართალწარმოების რომელიმე ეტაპზე, უკიდურეს ზომას უნდა წარმოადგენდეს; მისი გამოყენების შემთხვევაში სასამართლომ უნდა დაადგინოს, რომ ყველა ალტერნატიული საშუალება გაუმართლებელი ან პრაქტიკულად განუხორციელებადია, რაც უნდა მყარდებოდეს სხვა მტკიცებულებებით.

35. 120-ე მუხლის მე-10 ნაწილის თანახმად, დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე ამოღებული საგნის, ნივთის, ნივთიერების, აგრეთვე ინფორმაციის შემცველი დოკუმენტის პირველადი გამოკვლევის უფლება აქვს ბრალდების მხარეს. თუ რითი არის ეს განპირობებული, გაურკვეველია, და, სავარაუდოდ, ეწინააღმდეგება ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებულ მხარეთა თანასწორობის პრინციპს; ზოგადად, თუ დაცვის მხარე ითხოვს, გამომძიებელმა ჩაატაროს ჩხრეკასა და ამოღებასთან დაკავშირებული მოქმედებები, დაცვის მხარეს უნდა ჰქონდეს უფლება, პირველი გაეცნოს ასეთი მოქმედებების შედეგებს (ხოლო შემდგომში, რა თქმა უნდა, გაუზიაროს ბრალდების მხარეს). მიზანშეწონილია, გადაიხედოს 120-ე მუხლის მე-10 ნაწილით გათვალისწინებული ამოღებული ნივთების ბრალდების მხარის მიერ პირველადი გამოკვლევის უფლება.
36. მიუხედავად იმისა, რომ 121-ე მუხლის მე-4 ნაწილი პირადი ჩხრეკის შესახებ ძალიან სასარგებლოდ/მნიშვნელოვნად აცხადებს, რომ ჩხრეკა უნდა ჩაატაროს იმავე სქესის პირმა და, რომ ჩხრეკაში დასაშვებია მხოლოდ იმავე სქესის პირთა მონაწილეობა, არ არის გამორიცხული ასეთი ჩხრეკის დროს საპირისპირო სქესის პირთა დასწრება (ანუ ჩატარებისა ან მასში მონაწილეობის გარეშე).²⁴ გარდა ამისა, კოდექსის დებულებები ექსპერტიზასთან დაკავშირებით (მუხლები 144-148) არ ითვალისწინებს სექსუალური დანაშაულის მსხვერპლისა და არასრულწლოვანი მსხვერპლის განსაკუთრებულ მდგომარეობას, რომლებიც შეიძლება განსაკუთრებით ტრავმირებული იყვნენ. ბევრმა ქვეყანამ შეიმუშავა კონკრეტული ოქმები და სპეციალიზებული დოკუმენტების კრებული მტკიცებულებათა შეგროვების შესახებ გაუპატიურების ან სხვა სახის სექსუალური ძალადობის გამომძიებისას.²⁵ უფრო კონკრეტულად კი, სექსუალური ძალადობის

²² *Al-Khawaja and Tahery v. the United Kingdom*, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, 15 დეკემბერი, 2011, განაცხადები ##[26766/05](#) და [22228/06](#), პუნქტი 119

²³ *Mirilashvili v. Russia*, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, 11 დეკემბერი, 2008, განაცხადი #[6293/04](#), პუნქტი 217

²⁴ Cf. *Valasinas v. Lithuania*, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, 24 ივლისი, 2001, განაცხადი #[44558/98](#), პუნქტი 117

²⁵ იხ. გვერდები 55-58, გაეროს სახელმძღვანელო ქალთა მიმართ ძალადობაზე პოლიციის მხრიდან ეფექტიანი რეაგირების შესახებ (2010), ხელმისაწვდომია ბმულზე:

შემთხვევაში პირს შეიძლება მოსთხოვონ გახდა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის მიზნებისათვის.

37. მიზანშეწონილია, მკაფიოდ განისაზღვროს, რომ პირად ჩხრეკას მხოლოდ იმავე სქესის პირები ესწრებოდნენ. ამავედროულად, ექსპერტიზა უნდა ჩაატაროს მხოლოდ იმავე სქესის მოხელის მიერ, რომელი სქესისაც არის ექვმიტანილი/ბრალდებული/მოწმე.
38. ამასთანავე, მართალია, კოდექსის 111-ე მუხლის მე-9 ნაწილის თანახმად, შესამოწმებელი პირის მოთხოვნის შემთხვევაში ექსპერტი და გამოძიების მხარე უნდა იყვნენ იმავე სქესის, რომელი სქესისაც არის შესამოწმებელი პირი, მაგრამ პირდაპირ არ მიუთითებს შესამოწმებელი პირის წინასწარ თანხმობზე. ამიტომ, მიზანშეწონილია, ამ დებულების შევსება შესაბამისად.
39. კოდექსის 147-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილია, რომ „ნიმუშის აღება, რომელიც იწვევს ძლიერი ტკივილის შეგრძნებას, დასაშვებია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში და იმ პირის თანხმობით, რომლისგანაც ნიმუში უნდა იქნეს აღებული“. ამ შემთხვევაშიც მკაფიოდ უნდა მიეთითოს, რომ ნებისმიერი პროცესი, როდესაც პირებს მოეთხოვებათ გახდა და სხეულის ინტიმური ნაწილების გამოჩენა, როგორც წესი, არ უნდა იყოს დაშვებული შესამოწმებელი პირის წინასწარი თანხმობის გარეშე. აღნიშნული დებულებები ასევე შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ მსხვერპლისათვის მიყენებული დაზიანებების ფოტოგადაღება დასაშვებია მხოლოდ მსხვერპლის თანხმობით.²⁶

5.2 დახურული სასამართლო სხდომები

40. 182-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლო სხდომა, როგორც წესი, ტარდება ზეპირად და საჯაროდ. ამ დებულების მე-3 ნაწილი ითვალისწინებს, რომ სასამართლოს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვის შესახებ შემდეგი გარემოებების გამო: პერსონალური მონაცემების, პროფესიული ან კომერციული საიდუმლოების დაცვის მიზნით; არასრულწლოვნის ინტერესების დაცვის მიზნით ან, თუ პროცესის მონაწილის ან/და მისი ოჯახის წევრის პირადი უსაფრთხოების დაცვის მიზნით გამოიყენება პროცესის მონაწილის დაცვის ის სპეციალური ღონისძიება, რომელიც მოითხოვს სასამართლო სხდომის დახურვას. სხდომის დახურვის სხვა საფუძვლებია: სქესობრივი დანაშაულის ან ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის მსხვერპლის ინტერესების დაცვა ან, როდესაც

http://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/Handbook_on_Effective_police_responses_to_violence_against_women_English.pdf.

²⁶ იხ. გვ. 71, 2014 წლის გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიუროს (UNODC) მოქმედების სახელმძღვანელო: სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემებში განხორციელების გეგმა ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და რეაგირების შესახებ, ხელმისაწვდომია ბმულზე:

http://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/Strengthening_Crime_Prevention_and_Criminal_Justice_Responses_to_Violence_against_Women.pdf.

პირი არ არის თანახმა პირადი მიმოწერისა და პირადი შეტყობინების გამოქვეყნებაზე სასამართლო სხდომაზე. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად შესაძლებელია დახურული სხდომის გამართვა, კოდექსში დახურული სხდომების სისტემა არ არის ჩამოყალიბებული საკმარისად ვიწროდ, რათა უზრუნველყოფილი იქნეს მე-6 მუხლთან შესაბამისობა.

41. პირველ რიგში, საჯარო სხდომების მნიშვნელობის გათვალისწინებით ბრალდებულისა და მართლმსაჯულების სისტემისადმი საზოგადოების ნდობის თვალსაზრისით, საჯარო სასამართლო პროცესის ან მისი ნაწილის დახურვა შესაძლებელი უნდა იყოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ამას მკაცრად მოითხოვს საქმეზე არსებული გარემოებები.²⁷ 182-ე მუხლი, როგორც ჩანს, არსებითად არასავალდებულო ხასიათისაა და სასამართლოს პრეროგატივას განეკუთვნება, და არ მიუთითებს დახურული სხდომის განსაკუთრებულ ბუნებასა და იმ ფაქტზე, რომ უნდა იყოს „აუცილებელი“ სხვა უფლებებისა თუ ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად. მეორე, აუცილებლობის პრინციპის გათვალისწინებით უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლომ სხდომის ან მისი ნაწილის დახურვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე ჯერ უნდა განიხილოს სხდომის დახურვის ალტერნატიული ზომები.²⁸ 182-ე მუხლი არ ითვალისწინებს ასეთ მოთხოვნას.
42. ამავედროულად, 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ მასალებს სასამართლო დახურულ სხდომაზე განიხილავს.“ თუმცა, როგორც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, საქმის მასალებში საიდუმლო ინფორმაციის არსებობა ავტომატურად არ გულისხმობს სასამართლო პროცესის დახურვას საზოგადოებისათვის საჯაროობასა და ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებს შორის ბალანსის გარეშე: საზოგადოებისათვის სისხლის სამართლის საქმის დახურვამდე სასამართლომ კონკრეტულად უნდა დაასაბუთოს, რომ სხდომის დახურვა აუცილებელია უტყუარი სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე და შეზღუდოს საიდუმლოება იმ მოცულობამდე, რამდენიც აუცილებელია ასეთი ინტერესის დასაცავად.²⁹
43. შესაბამისად, რეკომენდებულია, 182-ე მუხლში მიეთითოს, რომ სხდომის ან მისი ნაწილის დახურვა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო ამას აუცილებლად ჩათვლის საქმეზე არსებული კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით და მხოლოდ კონკრეტულ მტკიცებულებასთან, მოწმესთან ან საქმესთან და არა მთელ პროცესთან

²⁷ *Welke and Bialek v. Poland*, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, 1 მარტი, 2011, განაცხადი #[15924/05](#), პუნქტი 74; *Martinie v. France*, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, 12 აპრილი, 2006, განაცხადი #[58675/00](#), პუნქტი 40

²⁸ *Krestovskiy v. Russia*, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, 28 ოქტომბერი, 2010, განაცხადი # [14040/03](#), პუნქტი 29

²⁹ *Belashev v. Russia*, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, 4 დეკემბერი, 2008, განაცხადი #[28617/03](#), პუნქტი 83

მიმართებით. ამასთანავე, სხდომის დახურვამდე სასამართლომ, პირველ რიგში, ყოველთვის უნდა განიხილოს ალტერნატიული ღონისძიებები, მათ შორის იმ შემთხვევებში, როდესაც საქმე ეხება სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ ინფორმაციას.

44. გარდა ამისა, ცალკე საკითხი შეიძლება წამოიჭრას, როდესაც სასამართლო განიხილავს ტარდება სხდომათა დარბაზის ფარგლებს გარეთ, რაც ზოგჯერ შეიძლება აუცილებელი ან მიზანშეწონილი იყოს სასამართლო პროცესის წარმართვისათვის. კოდექსი ამ საკითხს არ განიხილავს, თუმცა, როგორც ჩანს, არც გამორიცხავს ამ შესაძლებლობას. სასამართლო პროცესი, რომელიც სხდომათა დარბაზის ფარგლებს გარეთ, მაგალითად, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, ტარდება, სერიოზულ დაბრკოლებას უქმნის სამართალწარმოების საჯარო ხასიათს. შესაბამისად, სასამართლოებს მოეთხოვებათ საკომპენსაციო ზომების მიღება, რათა უზრუნველყონ, რომ საზოგადოებასა და მედიას აქვს სათანადო ინფორმაცია, თუ სად გაიმართება მოსმენა, და უზრუნველყოფილი იყოს ეფექტიანი ხელმისაწვდომობა.³⁰ მიზანშეწონილია, რომ კოდექსში გათვალისწინებული იყოს საკითხი სასამართლო სხდომების შესახებ, რომლებიც სხდომათა დარბაზის გარეთ ტარდება, როგორც ეს ზემოთ იყოს განხილული.

5.3 საქმის განხილვა ბრალდებულის დაუსწრებლად (in absentia)

45. კოდექსის 189-ე მუხლი ეხება საქმის განხილვას დაუსწრებლად. კერძოდ, ამ დებულების თანახმად, „ბრალდებულის დაუსწრებლად საქმის განხილვა დასაშვებია, თუ იგი თავს არიდებს სასამართლოში გამოცხადებას. ასეთ შემთხვევაში საქმის განხილვაში ბრალდებულის ადვოკატის მონაწილეობა სავალდებულოა.“
46. საერთაშორისო სტანდარტები თავისთავად (*per se*) არ გამორიცხავს საქმის განხილვას დაუსწრებლად. თუმცა, ბრალდებულს უფლება აქვს საჯარო მოსმენაზე, რაც აუცილებლად გულისხმობს ზეპირ მოსმენას; რამეთუ დასწრების გარეშე „ძნელია, დაინახო, თუ როგორ შეუძლია ბრალდებულს კონკრეტული უფლებების განხორციელება სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებასთან დაკავშირებით, რაც გულისხმობს უფლებას, რომ „დაიცვას თავი პირადად“, „დაკითხოს ან დააკითხინოს ბრალდების მოწმეები“ და „ისარგებლოს თარჯიმნის უფასო დახმარებით, თუ მას არ შეუძლია გაიგოს სასამართლოში გამოყენებული ენა, ან ილაპარაკოს ამ ენაზე.“³¹ სასამართლოს სხდომაზე სისხლის სამართლის საქმის მოსმენისას ბრალდებულის დასწრების უზრუნველყოფის ვალდებულება ერთ-ერთი

³⁰ *Riepan v. Austria*, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, 14 ნოემბერი, 2000, განაცხადი #35115/97, პუნქტები 28-29; *Hummatov v. Azerbaijan*, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, 29 ნოემბერი 2007, განაცხადი #9852/03, პუნქტი 144

³¹ *Colozza v. Italy*, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, 12 თებერვალი, 1985, განაცხადი #9024/80, პუნქტი 27. აგრეთვე იხ. ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის 3(c), (d) და (e) ქვეპუნქტები.

მნიშვნელოვანი მოთხოვნაა, რომელსაც მე-6 მუხლი ითვალისწინებს.³² მართალია, საქმის განხილვა ბრალდებულის დაუსწრებლად თავისთავად არ ეწინააღმდეგება კონვენციის მე-6 მუხლს, მიუხედავად ამისა, ადგილი აქვს მართლმსაჯულების უფლებბელოფას, როდესაც დაუსწრებლად გასამართლებული პირისათვის მაშინვე არ ხდება ცნობილი ბრალდების შინაარსი როგორც მატერიალურ, ისე ფაქტობრივ მხარესთან დაკავშირებით, იმ შემთხვევაში, თუ არ დადგინდება, რომ მან უარი თქვა სასამართლოს წინაშე გამოცხადებასა და პირადად დაცვაზე, ან თავი აარიდა სასამართლოში გამოცხადებას.³³

47. 189-ე მუხლი არ ავალდებულებს სასამართლოს, როდესაც დაადგენს, რომ ბრალდებული არ გამოცხადდა სასამართლოს წინაშე, შეამოწმოს, თუ რამდენად ეფექტიანად ჩაბარდა ბრალდებულს სასამართლოს უწყება.³⁴ ეფექტიანი უწყების გარეშე ბრალდებულმა შეიძლება არც კი იცოდეს სამართალწარმოების თაობაზე, რაც წარმოადგენს მასთან მიმართებით საჯარო განხილვის უფლების დარღვევას. უფრო მეტიც, იმ შემთხვევაშიც, როდესაც ქმედითი სასამართლო უწყება გაცემულია, ბრალდებულს უნდა ჰქონდეს უფლება საქმის ხელახლა განხილვაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი თავის მიერ არჩეული დამცველის მეშვეობით იყო წარმოდგენილი სასამართლო განხილვის დროს³⁵ ან, მკაფიოდ განაცხადებს უარს სასამართლოს წინაშე გამოცხადებაზე, ან სასამართლო დაადგენს, რომ იგი აპირებდა სასამართლოსათვის თავის არიდებას. მიუხედავად იმისა, რომ კოდექსის 292-ე მუხლის მე-3 ნაწილი და 297-ე მუხლის (ვ) ნაწილი ითვალისწინებს დაუსწრებლად გამოტანილი განაჩენის გასაჩივრების უფლებას და, სავარაუდოდ, იძლევა ფაქტობრივი გარემოებების ხელახლა განხილვის საშუალებას, პირი, რომელიც გასამართლებული იქნა დაუსწრებლად, მხოლოდ განაჩენის გასაჩივრების უფლების მინიჭებით, რაც განსხვავდება საქმის ფაქტობრივად ხელახლა განხილვისაგან, მოკლებული იქნებოდა სასამართლოს ერთ-ერთ ინსტანციას, რაც ხელმისაწვდომი იქნებოდა სხვა ბრალდებულებისათვის.
48. ბრალდებულის დაუსწრებლად საქმის განხილვასთან დაკავშირებული პრობლემის თავიდან ასაცილებლად ყველაზე მარტივი გზა ამ კონვენციის კოდექსიდან ამოღებაა. მიზანშეწონილია ამ მიდგომის განხილვა. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ მიღებული იქნება გადაწყვეტილება, რომ კოდექსი კვლავ ითვალისწინებდეს საქმის განხილვას ბრალდებულის დაუსწრებლად, მიზანშეწონილია, სასამართლოს დაეკისროს ვალდებულება, ბრალდებულის გამოუცხადებლობის შემთხვევაში დაადგინოს, უწყება ეფექტიანად

³² *Hermi v. Italy*, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, 18 ოქტომბერი, 2006, განაცხადი #8114/02, პუნქტები 58-59; *Sejdic v. Italy*, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, 1 მარტი, 2006, განაცხადი #56581/00, პუნქტები 81 და 84.

³³ *Sejdic v. Italy*, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, 1 მარტი, 2006, განაცხადი #56581/00, პუნქტი 82.

³⁴ Cf. ევროპის საბჭოს #(75)11 რეზოლუცია ბრალდებულის დაუსწრებლად საქმის განხილვის კრიტერიუმების შესახებ

³⁵ Cf. მაგ., ნიდერლანდების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლები 278-280

გაეგზავნა თუ არა საქმის განხილვამდე. გარდა ამისა, მიზანშეწონილია, განისაზღვროს, რომ ბრალდებულს აქვს უფლება საქმის და არა მხოლოდ (საჩივრის) ხელახლა მოსმენაზე, თუ იგი არ ესწრებოდა საქმის განხილვას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი თავის მიერ არჩეული დამცველის მეშვეობით იყო წარმოდგენილი ან მკაფიოდ განაცხადა უარი უფლებაზე, სასამართლოს წინაშე გამოცხადებულიყო, ან, თუ სასამართლო დაადგენს, რომ იგი თავს არიდებდა მართლმსაჯულების განხორციელებას.

5.4 მხარეთა თანასწორობა

49. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი ითვალისწინებს მხარეთა თანასწორობის პრინციპს, რომელიც მოითხოვს, რომ „თითოეულ მხარეს მიეცეს გონივრული შესაძლებლობა, წარმოადგინოს თავისი საქმე ისეთ პირობებში, რომელიც არ ჩააყენებს მას მნიშვნელოვან უთანასწორობაში თავის ოპონენტთან შედარებით.“³⁶
50. დასაწყისშივე უნდა აღინიშნოს, რომ, კოდექსის მიხედვით, მოსამართლის როლი, უზრუნველყოს მხარეთა თანასწორობა პროცესის მონაწილეთა შორის, ძალიან შეზღუდულია (კერძოდ, იხ. 23-ე მუხლი და 25-ე მუხლის მე-2 ნაწილი მოსამართლის როლის შესახებ), ხოლო ინიციატივა ამ პრინციპის უზრუნველსაყოფად უმეტესწილად მხარეებიდან უნდა მოდიოდეს. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი შეჯიბრებითობის სისტემა ზოგადად აღიარებულია საერთაშორისო სტანდარტებით, უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი სისტემებში არსებობს რისკი, რომ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ადვოკატი სათანადოდ არ ასრულებს თავის მოვალეობას, ბრალდებულის უფლებები არ იქნება საკმარისად დაცული.
51. ზოგადად, მნიშვნელოვანი დისბალანსი არსებობს პროკურორისა და ბრალდებულის უფლებამოსილებებს შორის - პირველს მხარს უჭერს სახელმწიფო რესურსები, ხოლო ბრალდებულს შესაძლოა არ ჰქონდეს ისეთივე ფინანსური ან სხვა საშუალებები. ამიტომ რეკომენდებულია, სასამართლო სხდომის თავმჯდომარეს დამატებით განესაზღვოს ფუნქცია, მაგალითად, 25-ე მუხლში, რომ უზრუნველყოს ბრალდებულის უფლებების, მათ შორის, მხარეთა თანასწორობის, სათანადოდ დაცვა სასამართლო განხილვისას.
52. მოწმეთა დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე, ზოგჯერ შეიძლება აუცილებელი იყოს, ბრალდებულს შეეზღუდოს სხდომაზე დასწრების უფლება, მაგალითად, მოწმის დაკითხვის დროს, თუ აუცილებელია მოწმის ვინაობის საიდუმლოდ დაცვა, რადგან არსებობს მის წინააღმდეგ შურისძიების რეალური საფრთხე. ამავდროულად, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სექსუალური ძალადობის დანაშაულების შემთხვევაში „გათვალისწინებული უნდა იქნეს სავარაუდო

³⁶ *Foucher v. France*, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, 18 მარტი, 1997, განაცხადი #22209/93, პუნქტი 34

მსხვერპლის პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება.³⁷ ევროპულმა სასამართლომ გაიზიარა მოსაზრება, რომ სისხლის სამართლის საქმეზე სექსუალურ ძალადობასთან დაკავშირებით შეიძლება მიღებული იყოს გარკვეული ზომები მსხვერპლის დაცვის მიზნით იმ პირობით, რომ ასეთი ღონისძიებები შეჯერებული იქნება დაცვის უფლებების სათანადო და ეფექტიან განხორციელებასთან.³⁸ დაცვის უფლებების უზრუნველყოფისას სასამართლო ორგანოებს შეიძლება მოეთხოვოთ იმ ზომების მიღება, რომელიც გააწონასწორებს დაცვის კუთხით არსებულ ხარვეზებს.³⁹

53. 182-ე მუხლის მე-3 (დ) ნაწილი კოდექსის ერთადერთი დებულებაა სქესობრივ ძალადობის დანაშაულთან დაკავშირებით, რომელიც საშუალებას აძლევს სასამართლოს, მიიღოს გადაწყვეტილება სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვის შესახებ, როდესაც განიხილავს საქმეებს ადამიანებით უკანონო ვაჭრობასთან ან სექსუალურ დანაშაულთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ ეს დებულება მისასაღმებელია, იგი არ მიუთითებს რაიმე ისეთ ღონისძიებაზე, რომლებიც უნდა მიღებული იქნეს სასამართლო პროცესის დროს იმის უზრუნველსაყოფად, რომ სავარაუდო მსხვერპლი არ დაუპირისპირდება სავარაუდო დამნაშავეს, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს მსხვერპლის ტრავმირება. სხდომის დახურვა ვერ უზრუნველყოფს ამ მიზანს. რეკომენდებულია, კოდექსით დაევალოს სასამართლოს, უზრუნველყოს პროაქტიულად, რომ სექსუალური დანაშაულის შემთხვევაში სავარაუდო მსხვერპლი არ დაუპირისპირდეს სავარაუდო დამნაშავეს სასამართლო პროცესის დროს ან სასამართლოს შენობაში და, ამავდროულად, უზრუნველყოს დაცვის უფლებების სათანადო დონეზე დაცვა. ეს შეიძლება განხორციელდეს მსხვერპლისათვის ჩვენების ჩამორთმევა სასამართლო სხდომაზე დაუსწრებლად ან, სულ მცირე, სავარაუდო დამნაშავეს თანდასწრების გარეშე, კერძოდ, შესაბამისი საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, როგორც ამაზე მიუთითებს, მაგალითად, კოდექსის 243-ე მუხლი.⁴⁰
54. ამ კონტექსტში აღსანიშნავია, რომ კოდექსის მე-40 მუხლის თანახმად, მოსამართლეს შეუძლია სასამართლო განხილვისას ან წინასასამართლო

³⁷ *S.N. v. Sweden*, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, 2 ივლისი, 2002, განაცხადი #34209/96, პუნქტი 47

³⁸ იქვე

³⁹ იქვე

⁴⁰ იხ. მუხლი 56(1(i)), ევროპის საბჭოს კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ (CETS #210), საქართველოს მიერ ხელმოწერილია 2014 წლის 19 ივნისს, ხელმისაწვდომია ბმულზე:

<http://www.coe.int/t/dghl/standardsetting/convention-violence/convention/Convention%20210%20English.pdf>. უფრო დეტალური განხილვისათვის, იხ. OSCE/ODIHR-ის მოსაზრება საქართველოში ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ სამართლებრივ ჩარჩოში ცვლილებების პროექტის თაობაზე (17 დეკემბერი, 2013), ხელმისაწვდომია ბმულზე: http://www.legislationline.org/download/action/download/id/5049/file/241_DV_GEO_17%20Dec%202013_en.pdf

განხილვაზე მოწმის დაკითხვის დროს უარი თქვას ბრალდებულის დასწრებაზე, თუ გამოიყენება მოწმის დაცვის ერთ-ერთი სპეციალური ღონისძიება. თუმცა ეს დებულება გასაგებია მოწმეთა დაცვის თვალსაზრისით, იგი, მეორე მხრივ, არასაკმარის აქცენტს აკეთებს ბრალდებულის უფლებებზე. გადაწყვეტილება მოწმეთა ანონიმურობის დაცვის თაობაზე გამართლებული უნდა იყოს შესაბამისი და დასაბუთებული მოსაზრებებით, ხოლო, დაცული მოწმის დაკითხვისას ბრალდებულის სხდომათა დარბაზში დასწრებაზე უარის შემთხვევაში საკმარისი პროცესუალური გარანტიები არსებობდეს ბრალდებულის უფლებების სათანადო დაცვის უზრუნველსაყოფად.⁴¹ ამასთანავე, სასამართლოები არ უნდა ეყრდნობოდნენ მხოლოდ ან მნიშვნელოვანწილად ანონიმური მოწმის ჩვენების შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებას.⁴² ამდენად, რეკომენდებულია, მე-40 მუხლში განსაზღვროს, რომ სასამართლოს შეუძლია უარი თქვას ბრალდებულის დასწრებაზე, თუ ჩათვლის, რომ ეს აუცილებელია მოწმეთა დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე, ხოლო, როდესაც მიღებულია გადაწყვეტილება ბრალდებულის დარბაზიდან გაყვანის თაობაზე, უზრუნველყოფილი უნდა იყოს საკმარისი გარანტიების არსებობა ბრალდებულის უფლებების დასაცავად, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, მისი ადვოკატის დასწრების ან ჩვენების სხვა ადგილიდან მოსმენის შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად. გარდა ამისა, კოდექსით უნდა განსაზღვროს, რომ სასამართლო არ უნდა დაეყრდნოს მხოლოდ ან მნიშვნელოვანწილად ანონიმური მოწმის განცხადებებს ბრალდებულის სასამართლებისას.

55. 83-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, წინასასამართლო სხდომის გამართვამდე არა უგვიანეს 5 დღისა მხარეებმა ერთმანეთს და სასამართლოს უნდა მიაწოდონ იმ მომენტისათვის მათ ხელთ არსებული სრული ინფორმაცია, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც აპირებენ. ინფორმაცია გაზიარების ვალდებულება აქ არ უნდა მთავრდებოდეს, არამედ უნდა იყოს უწყვეტი, როგორც ეს იგულისხმება 83-ე მუხლის პირველი ნაწილით.⁴³ თუმცა ამ მუხლის ფორმულირებიდან ნათელი უნდა იყოს, რომ ბრალდების მხარეს ეკისრება ვალდებულება, გააზიაროს ყველა ინფორმაცია სპონტანურად, ხოლო დაცვის მხარეს ვალდებულია კეთილსინდისიერად, წინასწარ აცნობოს ბრალდების მხარეს, რათა შესაძლებელი იყოს შემდგომი გამოძიება. ამდენად, მიზანშეწონილია, 83-ე მუხლი სათანადოდ შეიცვალოს.
56. ამავდროულად, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შესაბამისი მტკიცებულების გაზიარების უფლება არ არის აბსოლუტური. ნებისმიერი სისხლის

⁴¹ *Al Khawaja and Tahery v. United Kingdom*, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, 15 დეკემბერი, 2011, განაცხადი #26766/05 და 22228/06, პუნქტი 147; აგრეთვე იხ. ODIHR-ის იურიდიული დაიჯესტი, პუნქტი 7.1.1 (კერძოდ, გვ. 172-172)

⁴² *Kostovski v. Netherlands*, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, 20 ნოემბერი, 1989, განაცხადი #11454/85, პუნქტი 44-45.

⁴³ მაგ. იხ. შეერთებული შტატების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 16 (c).

სამართალწარმოებისას შეიძლება არსებობდეს ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესები, როგორცაა: ეროვნული უსაფრთხოება, მოწმეთა რეპრესიისაგან დაცვის აუცილებლობა ან სისხლის სამართლებრივ საქმეზე გამოძიების გარკვეული მეთოდების საიდუმლოდ შენახვა, რაც უნდა შეწონილი იქნეს ბრალდებულის უფლებებთან მიმართებით.⁴⁴ ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება აუცილებელი იყოს გარკვეული მტკიცებულებების დაფარვა დაცვის მხარისაგან სხვა პირის ფუნდამენტური უფლებების დაცვის ან მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ინტერესის უზრუნველყოფის მიზნით. თუმცადა, ზოგადი პრინციპის სახით, ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, დასაშვებია დაცვის უფლებების შეზღუდვისათვის მხოლოდ ისეთი ღონისძიებების გამოყენება, რომლებიც მკაცრად აუცილებელია.⁴⁵ ამასთანავე, ბრალდებულისათვის სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების უზრუნველსაყოფად დაცვის უფლების ნებისმიერი შეზღუდვა სათანადოდ უნდა იყოს დაბალანსებული სასამართლო ხელისუფლების მიერ განხორციელებული პროცედურებით.⁴⁶ მიზანშეწონილია, კოდექსში დეტალურად განისაზღვროს მტკიცებულების დამალვა საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, რაც სასამართლოს აძლევს სათანადო ანალიზის გაკეთების საშუალებას, დამალული იქნეს თუ არა მტკიცებულება საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე.

57. ასევე პრობლემური საკითხია წინასასამართლო სხდომასა და სასამართლო განხილვაზე მოწმის მიერ გაკეთებული ურთიერთგამომრიცხავი ჩვენების სანდოობის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება. 243-ე მუხლის მე-2 ნაწილი ზღუდავს მოწმის ჩვენების საჯაროდ წაკითხვის უფლებას მხოლოდ იმ შემთხვევებით, როდესაც „არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მოწმე აიძულეს, დაემუქრნენ, დააშინეს ან მოისყიდეს.“ ამგვარად, ეს დებულება არ იძლევა ურთიერთგამომრიცხავი ჩვენების წაკითხვის საშუალებას სხვა შემთხვევებში, მაგალითად, როდესაც არაკეთილსინდისიერი მოწმე საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებს. ასეთმა შეზღუდვამ შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს მოწმის განაცხადის სანდოობასთან დაკავშირებით კითხვების დასმის, ხოლო უფრო ფართოდ თვალსაზრისით - მოწმეთა ჯვარედინი დაკითხვის უფლებაზე. მიზანშეწონილია, 243-ე მუხლის მე-2 ნაწილის ფორმულირება შეიცვალოს და განისაზღვროს მოწმის ჩვენებების მოსმენა და შედარება დასაბუთებული ვარაუდის დამტკიცების აუცილებლობის გარეშე იმასთან დაკავშირებით, რომ მოწმე აიძულეს, დაემუქრნენ, დააშინეს ან მოისყიდეს.

⁴⁴ *Doorson v. the Netherlands*, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, 26 მარტი, 1996, განაცხადი #[20524/92](#), პუნქტი 70

⁴⁵ *Van Mechelen and Others v. the Netherlands*, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, 23 აპრილი, 1997, განაცხადი #[21363/93](#), პუნქტი 58

⁴⁶ *Doorson v. the Netherlands*, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, 26 მარტი, 1996, განაცხადი #[20524/92](#), პუნქტი 72, და *Van Mechelen and Others v. the Netherlands*, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, 23 აპრილი, 1997, განაცხადი #[21363/93](#), პუნქტი 54

58. აღსანიშნავია, რომ გარდამავალი და დასკვნითი დებულებების შესახებ XXX თავის 332-ე მუხლის თანახმად, 2015 წლის 31 დეკემბრამდე გამოძიებისას დაკითხვა წარმოებს საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით. 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს სისტემას, რომელიც განსხვავდება დღეს არსებული შეჯიბრებითობის სისტემისაგან, ამიტომ დაკითხვის ასეთი ფორმა არ შეესაბამება ახალი კოდექსის პრინციპებს და, გარკვეულწილად, ეწინააღმდეგება მათ. მიზანშეწონილია, გამოძიების სტადიაზე დაკითხვის პროცედურასთან მიმართებით 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის გამოყენება დაუყოვნებლივ გაუქმდეს კოდექსის დანარჩენ დებულებებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

5.5 მოსამართლეთა აცილება და შეცვლა

59. ზოგიერთ შემთხვევაში ბრალდებულმა შესაძლოა მოითხოვოს საქმის განმხილველი ერთი ან მეტი მოსამართლის აცილება მიუკერძოებლობის არქონის შიშის საფუძველზე. 64-ე მუხლის მე-2(ა) ნაწილით განსაზღვრული წესი, რომ „მოსამართლის აცილების შუამდგომლობაზე გადაწყვეტილებას იღებს“ საქმის ერთპიროვნულად განმხილველი მოსამართლე, პრობლემურია, ისევე როგორც 64-ე მუხლის მე-2(გ) ნაწილით გათვალისწინებული დებულება, რომლის თანახმადაც, საქმის განმხილველი სასამართლოს შემადგენლობა იღებს გადაწყვეტილებას თვითაცილებაზე. თუ მოსამართლე ან სასამართლოს შემადგენლობა, რომლის აცილებაც მოითხოვა ერთ-ერთმა მონაწილემ, არ დაკმაყოფილებს აცილების შუამდგომლობას, ასეთმა გადაწყვეტილებამ შეიძლება ხელი შეუშალოს სასამართლოს მიუკერძოებლობას. ეს არ შეესაბამება სხვა ევროპული სახელმწიფოების პრაქტიკას, როდესაც, როგორც წესი, მოსამართლის აცილების შუამდგომლობას სხვა მოსამართლე განიხილავს (ისევე როგორც 64-ე მუხლის მე-2(ბ) ნაწილში, რომელიც ეხება აცილების შუამდგომლობის დაყენებას მოსამართლეთა შემადგენლობის მიმართ), ან მოსამართლეთა სხვა შემადგენლობა ან ზედა ინსტანციის სასამართლო, მაგრამ არა უშუალოდ თვითონ მოსამართლე.⁴⁷ ამიტომ, რეკომენდებულია, სხვა, დამოუკიდებელ მოსამართლეს ან სასამართლო შემადგენლობას ჰქონდეს აცილების შუამდგომლობის განხილვის უფლებამოსილება ყველა იმ შემთხვევაში, რომლებსაც კოდექსის 64-ე მუხლი ითვალისწინებს.

60. ამავდროულად, არ არის ნათელი, თუ როგორ ხორციელდება იმ მოსამართლეთა შეცვლის პროცედურა, რომლებსაც არ შეუძლიათ სასამართლო სხდომაში მონაწილეობის მიღება, რასაც კოდექსის 183-ე და

⁴⁷ მაგ. იხ., საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლები 670 და 674; იტალიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 40; გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, ნაწილი 27; პოლონეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 42(2); მოლდოვას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 35(1); რუმინეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 67; შვედეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თავი 4, მუხლი 15, ნაწილი 3.

184-ე მუხლები ითვალისწინებს. კერძოდ, ეს დებულებები არ განსაზღვრავს, მოითხოვება თუ არა სათადარიგო მოსამართლის დასწრება მთელი საქმის განხილვის განმავლობაში, თუ შესაძლებელია სხვა მოსამართლეების დანიშვნაც. როგორც ჩანს, არ არის აუცილებელი გადაწყვეტილების დასაბუთება ან მისი გასაჩივრება, როგორც ამას ითვალისწინებს საერთაშორისო სტანდარტები.⁴⁸ მიზანშეწონილია, დაზუსტდეს მოსამართლეთა შეცვლის პროცედურა 183-ე და 184-ე მუხლებში და სავალდებულო იყოს მოსამართლეთა შეცვლის შესახებ გადაწყვეტილების დასაბუთება, რომლის გასაჩივრებაც შესაძლებელი იქნება.

5.6 უდანაშაულობის პრეზუმფცია და პირის უფლება, არ მისცეს საკუთარი თავის მამხილებელი ჩვენება

61. ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ პრეცედენტულ სამართალში ხაზი გაუსვა უდანაშაულობის პრეზუმფციის პატივისცემის მნიშვნელობას, რაც მოითხოვს, „რომ შესაბამისი საჯარო მოხელეები არ უნდა ცნობდნენ პირს დამნაშავედ ან უდანაშაულოდ, სანამ აღნიშნულ საკითხს არ განიხილავს უფლებამოსილი სასამართლო.“⁴⁹ ეს ეხება მოსამართლეთა, ისევე როგორც სხვა სახელმწიფო მოხელეთა, მაგალითად, პოლიციის თანამშრომელთა და პროკურორთა, განცხადებებს.⁵⁰ 25-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, „განაჩენის ან სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე მოსამართლეს უფლება არა აქვს, აზრი გამოთქვას ბრალდებულის (მსჯავრდებულის) დამნაშავედ თუ უდანაშაულოდ ცნობის თაობაზე.“ უნდა გაფართოვდეს ვალდებულება, პირი არ იქნეს ცნობილი დამნაშავედ ან უდანაშაულოდ სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანამდე, და გავრცელდეს პოლიციის მოხელეებსა და პროკურორებზე 25-ე მუხლის ან კოდექსის სხვა შესაბამისი დებულებების საფუძველზე.
62. როგორც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, „დუმილის უფლება და უფლება, არ მისცეს საკუთარი თავის წინააღმდეგ მამხილებელი ჩვენება, საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სტანდარტებია, რომლებიც [ევროპული კონვენციის] მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი პროცედურის ცნების ბირთვს

⁴⁸ *Moiseyev v. Russia*, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, 9 ოქტომბერი, 2008, განაცხადი #[62936/00](#), პუნქტები 172-185

⁴⁹ *Ilgar Mammadov v. Azerbaijan*, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, 22 მაისი, 2014, განაცხადი #[15172/13](#), პუნქტები 125-128; *Allenet de Ribemont v. France*, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, 10 თებერვალი, 1995, განაცხადი #[15175/89](#), პუნქტები 32-37; *Ismoilov and others v. Russia*, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, 24 პრილი, 2008, განაცხადი #[2947/06](#), პუნქტები 160-170; cf. *Daktaras v. Lithuania*, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, 10 ოქტომბერი, 2000, განაცხადი #[42095/98](#), პუნქტები 39-45.

⁵⁰ იხ. იქვე

წარმოადგენს.⁵¹ ეს უფლებები არ გულისხმობს იმას, რომ სახელმწიფოს არ შეუძლია, როდესაც ეს აუცილებელია, სათანადო დაცვის მექანიზმების შესაბამისად, გამოიყენოს იძულების ზომა, მოიპოვოს „რეალური“ მტკიცებულება, ანუ მასალა, რომელიც არსებობს ექვმიტანილის ნებისაგან დამოუკიდებლად (როგორცაა, *inter alia*, ორდერის შედეგად მოპოვებული დოკუმენტები, ალკოჰოლზე შემოწმება, სისხლისა და შარდის ტესტები, სხეულის უჯრედის დნმ-ის ანალიზისათვის).⁵² თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში სავალდებულოა ბრალდებულის აქტიური მონაწილეობა გარკვეული სახის მტკიცებულების შესამოწმებლად, მაგალითად, როგორც ამას ითვალისწინებს 130-ე მუხლი საგამომიებო ექსპერიმენტის ჩატარების წესის შესახებ. მიზანშეწონილია 130-ე მუხლში შევიდეს ცვლილება და განისაზღვროს, რომ ასეთ ექსპერიმენტში მონაწილეობაზე უარი არ იქნეს გამოყენებული ბრალდებულის წინააღმდეგ.

63. მართალია, 38-ე მუხლის მე-4 ნაწილი ითვალისწინებს დებულებას, რომ ბრალდებულს აქვს დუმილის უფლება, რის თაობაზეც პირს დაკავების მომენტში აცნობენ (38-ე მუხლის მე-2 ნაწილი), მაგრამ ნათლად არ არის აღნიშნული, რომ ბრალდებულს შეახსენებენ ამ უფლებას სისხლის სამართლის საქმის სასამართლოს განხილვისას 74-ე მუხლის შესაბამისად (ბრალდებულის ჩვენება). ხსენებულმა შეიძლება გამოიწვიოს ისეთი სიტუაცია, როდესაც ბრალდებულს გამოძახებენ ჩვენების მისაცემად, მან ვერ გააცნობიეროს (სრულად), რომ არ არის ვალდებული, უპასუხოთ კითხვებს. მიზანშეწონილია, რომ 74-ე მუხლს დაემატოს კონკრეტული დებულება, რომლითაც სასამართლოს მოეთხოვება, შეახსენოს ბრალდებულს, რომ მას აქვს უფლება, არ მისცეს ჩვენება, როდესაც მას გამოიძახებენ სასამართლო განხილვაზე.

5.7 სამართლიან სასამართლო განხილვასთან დაკავშირებული სხვა საკითხები

64. კოდექსის ზოგადი ნაწილის (თავი I) 44-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, „ადვოკატს უფლება არა აქვს, იმოქმედოს ბრალდებულის მითითებისა და ინტერესების საწინააღმდეგოდ.“ ეს განცხადება მეტსმეტად აბსოლუტურია, რამეთუ შეიძლება ადვოკატისაგან მოითხოვდეს პროფესიული ეთიკის დარღვევას, თუ ასეთ მითითებას მისცემს ბრალდებული, და, შესაბამისად, ზედმეტად ფართოა. მიზანშეწონილია, 44-ე მუხლში გათვალისწინებული იყოს ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსის⁵³ 2.7- მუხლის ფორმულირება: „პროფესიული ქცევის წესებისა და კანონების პირნათლად დაცვით, ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის

⁵¹ *Saunders v United Kingdom*, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, 17 დეკემბერი, 1996, განაცხადი #19187/91, პუნქტი 68

⁵² იხ. იქვე, პუნქტი 69

⁵³ ევროპის ადვოკატთა ასოციაცია და სამართლის საზოგადოებების საბჭო, *ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსი*, ხელმისაწვდომია ბმულზე:

http://www.ccbe.eu/fileadmin/user_upload/NTCdocument/EN_CCBE_CoCpdf1_1382973057.pdf

ინტერესებიდან გამომდინარე და კლიენტის ინტერესები პირადი ან იურიდიული პროფესიის წევრების ინტერესების წინ დააყენოს.“

65. ამასთან დაკავშირებით გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომ, მაგალითად, კოდექსის 50-ე მუხლს დაემატოს ე.წ. „მამხილებელთა“ ანუ იმ პირთა დაცვა, რომლებიც საიდუმლო ან კონფიდენციალურ ინფორმაციას გასცემენ, თუმცა ოფიციალურად ან სხვაგვარად ეკისრებათ კონფიდენციალურობის ან საიდუმლოების დაცვის ვალდებულება, კანონმდებლობის დარღვევებზე, საჯარო ორგანოთა მხრიდან გადაცდომებზე, სერიოზულ საფრთხეზე, რომელიც ემუქრება საზოგადოებას, უსაფრთხოებას ან გარემოს, ან ადამიანის უფლებებსა თუ ჰუმანიტარული სამართლის დარღვევებზე.⁵⁴ იმის გათვალისწინებით, თუ რა სასიცოცხლო როლი აკისრიათ ასეთ ადამიანებს, რომლებიც საზოგადოების აცნობენ საჯარო ხასიათის სამართალდარღვევებზე, მიზანშეწონილია, კოდექსში განისაზღვროს მამხილებელთა დაცვის საკითხი მათთვის, ვინც კეთილსინდისიერად მოქმედებს.
66. 55-ე მუხლი ითვალისწინებს *სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae)* მოსაზრების წარდგენას, როდესაც დაინტერესებულ პირს, რომელიც არ არის მხარე განსახილველ სისხლის სამართლის საქმეზე, სურვილი აქვს, დაეხმაროს სასამართლოს, „სათანადოდ შეაფასოს განსახილველი საკითხი.“ მიუხედავად იმისა, რომ ასეთი მოსაზრება პოტენციურად სასარგებლო ინსტრუმენტი კანონის თანმიმდევრული გამოყენებისათვის, მნიშვნელოვანია იმის უზრუნველყოფა, რომ ასეთ მოსაზრება რომელიმე მხარეს არ აყენებდეს არახელსაყრელ მდგომარეობაში, განსაკუთრებით პირველ ატაპზე, როდესაც მონაწილეები იღებენ გადაწყვეტილებას, თუ რომელი მტკიცებულება უნდა წარადგინონ. თუმცა 55-ე მუხლი არ აკონკრეტებს, რომ ასეთი მოსაზრების მიზანი არ უნდა იყოს რომელიმე ერთი მხარის მხარდაჭერა, მიზანშეწონილია, გათვალისწინებული იქნეს პროცესუალური გარანტიების გაუმჯობესება *სასამართლოს მეგობრისათვის*. მნიშვნელოვანი იქნება, 55-ე მუხლში მითითებული იყოს გარკვეული ინფორმაცია, თუ ვინ შეიძლება მოითხოვოს ასეთი მოსაზრება (სასამართლომ თუ მხარემ) და მხარეებს მიეცეთ შესაძლებლობა, უპასუხონ სასამართლოს მეგობრის მოსაზრებაში წარმოდგენილ არგუმენტებს, მაგალითად, ჯვარედინი დაკითხვის მეშვეობით. ამავდროულად, 55-ე მუხლში განსაზღვრული უნდა იყოს, თუ როგორ აფასებს სასამართლო, მოსაზრება მხარს უჭერს თუ არა პროცესის ერთ რომელიმე მხარეს და რა ხდება ასეთის დადასტურების შემთხვევაში (სავარაუდოდ, მოსაზრება უნდა გაქარწყლდეს⁵⁵).

⁵⁴ იხ. აზრისა და გამოხატვის თავისუფლების საკითხებში გაეროს სპეციალური მომხსენებლის, მედიის თავისუფლების საკითხებში ეუთოს სპეციალური წარმომადგენლისა და გამოხატვის თავისუფლების საკითხებში ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის სპეციალური მომხსენებლის ერთობლივი დეკლარაცია, 2004, ხელმისაწვდომია ბმულზე: <http://www.osce.org/fom/38632?download=true>.

⁵⁵ Cf., შეერთებული შტატების უმაღლესი სასამართლოს რეგლამენტი, მუხლი 37, ხელმისაწვდომია ბმულზე: <http://www.supremecourt.gov/ctrules/2010Rulesofthecourt.pdf>

67. კოდექსის თავი XII ეხება საპროცესო ვადებსა და ხარჯებს. კოდექსის 90-ე მუხლის თანახმად, მხარეებს შეიძლება დაეკისროთ სხვადასხვა სახის ხარჯი, მათ შორის, ადვოკატის მომსახურების ხარჯი.⁵⁶ გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხარჯების საერთო რაოდენობა ძალიან დაბალია, აღნიშნულმა შეიძლება ხელი შეუწყოს დანაშაულის აღიარებას ხარჯების თავიდან აცილების მიზნით, რომც არ იყოს დამნაშავე, ისევე როგორც ზედმეტ საპროცესო შეთანხმებას. ხსენებულმა შეიძლება ხელყოს სამართლიანი სასამართლოს განხილვის უფლება. მიზანშეწონილია, განხილული იქნეს ხარჯის სახეების შემცირება, რომლებიც შეიძლება პოტენციურად დაეკისროს ბრალდებულს 90-ე მუხლის შესაბამისად.
68. რაც შეეხება შუამდგომლობის დაყენებისა და შუამდგომლობის შესახებ გადაწყვეტილებების დასაბუთების პროცედურას სასამართლოში საქმის განხილვისას, ამ თვალსაზრისით ძალიან მკაცრია 93-ე მუხლის მე-4 ნაწილის დებულება, რომლის თანახმად, „იმავე შინაარსის შუამდგომლობა, რომელზედაც უკვე მიღებულია გადაწყვეტილება, იმავე სასამართლოში აღარ განიხილება“. შესაძლოა წარმოიშვას ახალი გარემოებები და წარმოდგენილი იქნეს ახალი მტკიცებულება, რის გამოც შეიძლება გამართლებული იყოს შუამდგომლობის განახლება იმავე საკითხზე. 93-ე მუხლის მე-4 ნაწილი უნდა გაუქმდეს ან შეიცვალოს, რათა უზრუნველყოფილი იქნეს შუამდგომლობის დაყენება იმავე საკითხზე.
69. 94-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, დაინტერესებულ მესამე მხარეებს შეიძლება ასევე ეთხოვოთ, შუამდგომლობაზე ჩამოაყალიბონ თავიანთი მოსაზრებანი. ნათლად არ ჩანს, თუ რამდენად შეუძლიათ მხარეებს გამოთქვან თავიანთი შეხედულებები მესამე მხარეების მოსაზრებებზე, რასაც შესაძლოა გავლენა ჰქონდეს სამართალწარმოების სამართლიანობაზე. მიზანშეწონილია, დაემატოს მკაფიო დებულება იმის უზრუნველყოფად, რომ მხარეებს შეუძლიათ გამოთქვან თავიანთი შეხედულებები 94-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ მოსაზრებებზე.
70. 94-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, შუამდგომლობის განხილვის შედეგების თაობაზე დაუყოვნებლივ ეცნობება მის ავტორს. დებულება არ მიუთითებს, რომ მხარეებსაც უნდა ეცნობოთ ასეთი გადაწყვეტილების თაობაზე და მიიღონ მისი ასლი. ეს ცალსახად უნდა მიეთითოს 94-ე მუხლის

⁵⁶ 90-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული ხარჯებია: ბრალდებულის ადვოკატის მომსახურების ხარჯი; ექსპერტის გამოცხადების და მისი საქმიანობის ანაზღაურების ხარჯი; გ) თარჯიმნის გამოცხადების და მისი საქმიანობის ანაზღაურების ხარჯი; მოწმის გამოცხადების ხარჯი; ნივთიერი მტკიცებულების შენახვისა და გადაგზავნის ხარჯი; ბრალდებულის ან მისი ადვოკატის შუამდგომლობით სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ხარჯი; დაცვის მხარისათვის ბრალდების მხარის მიერ გადაცემული ინფორმაციის ასლის გადაღების ხარჯი; ნაფიც მსაჯულთა გამოცხადებისა და სასამართლო განხილვაში მონაწილეობის ხარჯი; მტკიცებულებათა მოპოვების ხარჯი. მე-2 ნაწილის თანახმად, „ექსპერტს ან თარჯიმანს ანაზღაურება არ ეძლევა, თუ საქმიანობისათვის სახელმწიფოს მიერ დანიშნული აქვს ხელფასი.“

მე-5 ნაწილში. ამასთანავე, მიზანშეწონილია, რომ გადაწყვეტილებები შუამდგომლობის თაობაზე იყოს საჯარო.

71. აღსანიშნავია, რომ 278-ე მუხლი ითვალისწინებს წერილობითი განაჩენის ასლის გადაცემას მხარეებისა და სამართალწარმოების მონაწილეებისათვის, თუმცა არ ითვალისწინებს არანაირ დებულებას განაჩენის გამოქვეყნების თაობაზე. როგორც წესი, განაჩენი უნდა გამოქვეყნდეს სასამართლოზე საზოგადოებრივი ზედამხედველობის განსახორციელებლად სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების უზრუნველყოფის მიზნით. შეიძლება გათვალისწინებული იყოს უსაფრთხოების კანონიერი მოსაზრებები გარკვეული ტექნიკის მეშვეობით, როგორცაა საიდუმლო გრიფის მინიჭება სასამართლოს მხოლოდ იმ გადაწყვეტილებებისათვის, რომელთა გამჟღავნება საფრთხეს უქმნის ეროვნულ უსაფრთხოებას ან სხვათა უსაფრთხოებას.⁵⁷ მიზანშეწონილია, 278-ე მუხლში ან ცალკე დებულებაში აისახოს კონკრეტული დებულება წერილობითი განაჩენების გამოქვეყნების, მათ შორის, საჯაროობის პრინციპთან მიმართებით კანონიერი გამონაკლისების დაშვების, თაობაზე.

6. წამება, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობა

72. სისხლის სამართლოს საპროცესო კოდექსის III თავი ეხება ზოგად პრინციპებს. ამ თავის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „დაუშვებელია ადამიანის ნების თავისუფლებაზე ზემოქმედება წამების, ძალადობის, სასტიკი მოპყრობის, მოტყუების, სამედიცინო ჩარევის, ჰიპნოზის, ასევე სხვა ისეთი ღონისძიებების გამოყენებით, რომლებიც ზემოქმედებს ადამიანის მეხსიერებაზე ან აზროვნებაზე“. იმავე მუხლში აღნიშნულია, რომ „დაუშვებელია მუქარა ან ისეთი შეღავათების დაპირება, რომლებიც კანონით არ არის გათვალისწინებული.“ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად,⁵⁸ მიზანშეწონილია, მე-4 მუხლის მე-2 ნაწილში განისაზღვროს, რომ ასევე დაუშვებელია წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის მუქარა.
73. ამ პრინციპის განსახორციელებლად, ასევე ევროპული კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებული მონაწილე სახელმწიფოების პოზიტიური ვალდებულებების შესაბამისად, არასათანადო მოპყრობის სათანადოდ გამოძიების მიზნით⁵⁹ მიზანშეწონილია 101-ე მუხლში (ინფორმაცია დანაშაულის შესახებ გამოძიების დაწყება) მიეთითოს, რომ მოსამართლე უფლებამოსილია, სასამართლო განხილვის დროს ახლად გამოვლენილი

⁵⁷ *Raza v. Bulgaria*, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, 11 თებერვალი, 2010, განაცხადი #[31465/08](#), პუნქტი 53

⁵⁸ *Selmouni v. France*, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, 28 ივლისი, 1999, განაცხადი #[25803/94](#), პუნქტი 101; *Gäfgen v. Germany*, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, 1 ივნისი, 2010, განაცხადი #[22978/05](#), პუნქტი 91; *Harutyunyan v. Armenia*, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, 28 ივნისი, 2007, განაცხადი #[36549/03](#), პუნქტი 63

⁵⁹ მაგ. იხ., *El-Masri v. the former Yugoslav Republic of Macedonia*, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, 13 დეკემბერი, 2012, განაცხადი #[39630/09](#), პუნქტები 182-185.

ფაქტები, მათ შორის, წამებისა და არასათანადო მოპყრობის შესახებ ბრალდებები, გადასცეს პროკურატურას.

74. 111-ე მუხლი ადგენს ზოგად წესებს საგამომიებო მოქმედებებთან ჩასატარებლად. ამ დებულების მე-8 ნაწილის თანახმად, საგამომიებო მოქმედების ჩატარებისას ქირურგიული ან სამედიცინო გამოკვლევის სხვა მეთოდებისა და საშუალებების გამოყენება, რომლებიც იწვევს ძლიერი ტკივილის შეგრძნებას, დასაშვებია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში ამ პირის თანხმობით; თუ ამ პირს 16 წელი არ შესრულებია ან იგი ფსიქიკურად დაავადებულია, აუცილებელია მშობლების თანხმობა. ამ დებულებაში მითითებული „ძლიერი ტკივილი“ მოითხოვს გადახედვას. ამ მუხლის მიხედვით, სავარაუდოდ, არასათანადო მოპყრობა, რომელიც „სამედიცინო ექსპერტიზის“ შედეგია, რაც გულისხმობს არასამედიცინო თვალსაზრისით გამართლებულ ინტერვენციას, რომელიც პოტენციურად ექცევა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის ფარგლებში, შეიძლება დასაშვები იყოს გარკვეულ შემთხვევებში. მეტად საეჭვოა, თუ რამდენად შესაძლებელია ევროპული კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებული უფლების უარყოფა ამ სახით. ნებისმიერ შემთხვევაში, არ არის ნათელი, თუ რამდენად შეესაბამება ასეთი პროცედურები სამედიცინო პერსონალის ეთიკურ სტანდარტებს. თუ 111-ე მუხლის მე-8 ნაწილი აუცილებელია, მიზანშეწონილია ამ დებულებით განპირობებული ღონისძიებები ყოველთვის ეფუძნებოდეს სასამართლოს გადაწყვეტილებას (მშობლის თანხმობა არასრულწლოვანისათვის სავარაუდო არასათანადო მოპყრობის მიყენების თაობაზე არ შეიძლება ჩაითვალოს სათანადო ნებართვად); ამასთანავე, ნათლად უნდა აღინიშნოს, რომ ნებისმიერი ასეთი ჩარევა არ უნდა იწვევდეს ისეთ დამცირებას ან ტანჯვას, რომ უთანაბრდებოდეს წამებას, რომელსაც კრძალავს მე-3 მუხლი.
75. საპროცესო მოქმედებების შესახებ XVII თავის შესაბამისად, 144-ე მუხლი ითვალისწინებს ექსპერტიზის ჩატარების საფუძვლებს. მე-2 ნაწილის თანახმად, „ექსპერტიზა ტარდება მხარის ინიციატივით.“ თუმცა ბრალდების მხარემ უნდა უზრუნველყოს დაკავების ადგილებში არასათანადო მოპყრობის შესახებ მტკიცებულება, როგორც პოზიტიური ვალდებულება.⁶⁰ აღნიშნული მოვალეობის შესრულება შეიძლება მოითხოვდეს სწრაფ ინტერვენციას სასამართლო ექსპერტების მხრიდან. მიზანშეწონილია 144-ე მუხლის მე-2 ნაწილში ცვლილების შეტანა, რომ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის შემთხვევაში სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა არ წარმოადგენდეს მხოლოდ დაინტერესებული მხარის „ინიციატივას“.

7. დაზარალებულის უფლებები

76. საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, დაზარალებულები სარგებლობენ გარკვეული უფლებებით სისხლის სამართლის სამართალწარმოებისას.

⁶⁰ *Tanrikulu v. Turkey*, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, 8 ივლისი, 1999, განაცხადი #[23763/94](#), პუნქტი 104; *Gül v. Turkey*, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, 14 დეკემბერი, 2000, განაცხადი #[22676/93](#), პუნქტი 89

ესენია: თანაგრძნობით მოპყრობის უფლება, მათ შორის, ღირსების პატივისცემა⁶¹ და გამოძიებაში ჩართულობა იმ დონეზე, რაც აუცილებელია მათი კანონიერი ინტერესების უზრუნველსაყოფად.⁶² მათ აქვთ უფლება, თავიანთი შეხედულებები და პრობლემები წარმოდგენილი და გათვალისწინებული იქნეს სამართალწარმოების შესაბამის ეტაპზე, ბრალდებულის უფლებების ხელყოფის გარეშე და ეროვნული სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის შესაბამისად.⁶³ დაზარალებულებს უფლება აქვთ, ხელი მიუწვდებოდეთ ინფორმაციაზე მათი როლისა და სისხლის სამართლის საქმის ფარგლების, ვადებისა და მიმდინარეობის თაობაზე, განსაკუთრებით, როდესაც საქმე ეხება მძიმე დანაშაულს და, როდესაც ისინი ითხოვენ ასეთ ინფორმაციას.⁶⁴ კერძოდ, მათ უფლება აქვთ, იცოდნენ დევნის ან დევნაზე უარის გადაწყვეტილების თაობაზე,⁶⁵ იცოდნენ გასაჩივრების ან გასაჩივრებაზე უარის გადაწყვეტილების თაობაზე⁶⁶ და ხელი მიუწვდებოდეთ სასამართლოს საქმის მასალებზე.⁶⁷

77. რაც შეეხება ანაზღაურებას, დაზარალებულს უნდა შეეძლოს ზიანის ანაზღაურების სწრაფად მიღება როგორც რესტიტუციის, ისე კომპენსაციის თვალსაზრისით,⁶⁸ დამნაშავეებმა და მესამე მხარეებმა, რომლებიც პასუხისმგებელი არიან თავიანთ ქცევაზე, თუ შესაძლებელია, სამართლიანი რესტიტუცია უნდა უზრუნველყონ დაზარალებულებისათვის, მათი ოჯახებისათვის ან მათ კმაყოფაზე მყოფი პირებისათვის⁶⁹, ხოლო დაზარალებულებს აქვთ უფლება, ხელი მიუწვდებოდეთ მართლმსაჯულების მექანიზმებზე, რომლებიც არის სწრაფი, სამართლიანი, იაფი და ხელმისაწვდომი.⁷⁰ თავიდან უნდა იქნეს აცილებული

⁶¹ მუხლი 4, გაეროს დეკლარაცია დანაშაულებრივი ქმედებების მსხვერპლთა დაცვის შესახებ

⁶² *Hugh Jordan v the United Kingdom*, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, 4 მაისი, 2001, განაცხადი #24746/94, პუნქტი 109

⁶³ მუხლი 6(b), გაეროს დეკლარაცია დანაშაულებრივი ქმედებების მსხვერპლთა დაცვის შესახებ; გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭო: მართლმსაჯულების სახელმძღვანელო მითითებები დანაშაულის არასრულწლოვან მსხვერპლთა და მოწმეთა საკითხებზე, UN Doc E/Res/2005/20 (2005), მუხლი 21

⁶⁴ მუხლები 5 და 6(a), გაეროს დეკლარაცია დანაშაულებრივი ქმედებების მსხვერპლთა დაცვის შესახებ; მართლმსაჯულების სახელმძღვანელო მითითებები დანაშაულის არასრულწლოვან მსხვერპლთა და მოწმეთა საკითხებზე, მუხლი 19

⁶⁵ *Kelly and Others v the United Kingdom*, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, 4 მაისი, განაცხადი #30054/96, პუნქტები 118, 136

⁶⁶ *Gorou v Greece*, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, 20 მაისი, 2009, განაცხადი #12686/03, პუნქტები 37–42

⁶⁷ *Öğür v Turkey*, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, 20 მაისი, 1999, განაცხადი #21594/93, პუნქტი 92

⁶⁸ მუხლი 4, გაეროს დეკლარაცია დანაშაულებრივი ქმედებების მსხვერპლთა დაცვის შესახებ

⁶⁹ იხ. იქვე, მუხლი 8.

⁷⁰ იხ. იქვე, მუხლები 4 და 5.

გაუმართლებელი გაჭიანურება საქმის განხილვისა და დაზარალებულისათვის ანაზღაურების შესახებ მითითებებისა თუ ბრძანებების აღრულებისას.⁷¹ ამავდროულად, სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ზომები, რათა მინიმუმამდე დაიყვანონ დისკომფორტი დაზარალებულებისათვის, საჭიროების შემთხვევაში დაიცვან მათი პირადი ცხოვრება და უზრუნველყონ მათი უსაფრთხოება, დაშინებისა და შურისძიებისაგან დაიცვან მათი ოჯახის წევრები და ის მოწმეები, რომლებმაც ჩვენება მისცეს მათი სახელით.⁷² სახელმწიფოებმა ასევე უნდა უზრუნველყონ, რომ დაზარალებულებმა მიიღონ საჭირო მატერიალური, სამედიცინო, ფსიქოლოგიური და სოციალური დახმარება⁷³ და, რომ ისინი ინფორმირებული იყვნენ სამედიცინო და სოციალური მომსახურებისა და სხვა შესაბამისი დახმარების თაობაზე და ადვილად მიუწვდებოთ ხელი ასეთ მომსახურებასა და დახმარებაზე.⁷⁴

78. და ბოლოს, კომპენსაციასთან დაკავშირებით, როდესაც იგი არ არის სრულად ხელმისაწვდომი დანაშაულის ან სხვა წყაროებიდან, სახელმწიფოები უნდა ცდილობდნენ ფინანსური კომპენსაციის უზრუნველყოფას მსხვერპლისათვის, რომელმაც მიიღო ფიზიკური ან ფსიქიკური ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება მძიმე დანაშაულის შედეგად, და მათი ოჯახის წევრებისათვის, კერძოდ, იმ პირის კმაყოფაზე მყოფი პირებისათვის, რომელიც გარდაიცვალა ან ფიზიკურად თუ ფსიქიკურად არაქმედუნარიანი გახდა ვიქტიმიზაციის გამო.⁷⁵
79. კოდექსის VII თავი კონკრეტულად ფოკუსირებულია დანაშაულის შედეგად დაზარალებულ პირებზე და შეიცავს დებულებებს დაზარალებულთა სტატუსისა და მათი უფლებების შესახებ საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილი მთელი რიგი უფლებების გათვალისწინებით. 57-ე მუხლი განსაზღვრავს დაზარალებულის უფლებებს, *inter alia*, იცოდეს ბრალდებულისათვის წარდგენილი ბრალდების არსი; მისცეს ჩვენება იმ ზიანის შესახებ, რომელიც მას დანაშაულის შედეგად მიადგა; უფასოდ მიიღოს სასამართლოს გადაწყვეტილებების ასლები; მიიღოს პროცესში მონაწილეობის შედეგად გაწეული ხარჯების ანაზღაურება და მოითხოვოს დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენება. 58-ე მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილების თანახმად, პროკურორმა დაზარალებულს წინასწარ უნდა შეატყობინოს განხილვებისა და სასამართლოს სხდომების თაობაზე, მათ შორის, საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებით.
80. თუმცადა, კოდექსს უნდა დაემატოს მთელი რიგი დებულებები საერთაშორისო სტანდარტებთან სრული შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. უპირველეს ყოვლისა, მიზანშეწონილია, დაემატოს კონკრეტული მოთხოვნა, რომ პროკურორმა აცნობოს დაზარალებულს

⁷¹ იხ. იქვე, მუხლი 6(d).

⁷² იხ. იქვე, მუხლი 6(d).

⁷³ იხ. იქვე, მუხლი 14

⁷⁴ იხ. იქვე, მუხლი 15

⁷⁵ იხ. იქვე, მუხლი 12(a)

გადაწყვეტილება დევნაზე უარის თაობაზე, აგრეთვე იმის თაობაზე, ბრალდების მხარე ასაჩივრებს თუ არა გადაწყვეტილებას. მეორე, მიზანშეწონილია, კოდექსს დაემატოს მოთხოვნა, რომ დაზარალებულებს გაეწიოს მატერიალური, სამედიცინო, ფსიქოლოგიური და სოციალური დახმარება; ეცნობოთ მათ, მაგალითად, პროკურორის მიერ სამედიცინო და სოციალური მომსახურებისა და სხვა შესაბამისი დახმარების თაობაზე და ადვილად მიუწვდებოდეთ ხელი ასეთ მომსახურებასა და დახმარებაზე. მესამე, უნდა განისაზღვროს სახელმწიფოს მხრიდან ფინანსური კომპენსაციის შესაბამისი პროცედურები, როდესაც ასეთი კომპენსაციის მიღება შეუძლებელია დამნაშავე(ებ)ისაგან დაზარალებულებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის, კერძოდ, მათ კმაყოფაზე მყოფი პირებისათვის, როდესაც დაზარალებულებს მიადგათ ჯანრმთრელობის მძიმე დაზიანება ან დაუქვეითდათ ფიზიკური თუ ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმე დანაშაულის შედეგად.

81. კოდექსის 317-ე მუხლი ითვალისწინებს, რომ არასრულწლოვანი მოწმის დაკითხვა შესაძლებელია არასრულწლოვნის პედაგოგის ან კანონიერი წარმომადგენლის თანდასწრებით. თუმცა, არასრულწლოვანი მოწმის დაცვის ღონისძიებების მოცულობა უფრო ფართო უნდა იყოს და მოიცავდეს არა მხოლოდ სასამართლო სხდომაზე მოსმენას, არამედ მართლმსაჯულების მთლიან პროცესს დანაშაულის გამოვლენის, საჩივრის შეტანის, გამოძიების, ბრალდების, სასამართლო განხილვისა და სასამართლო განხილვის შემდგომი პროცედურების ჩათვლით.⁷⁶ კერძოდ, უპირველესი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს იმ არასრულწლოვანი დაზარალებულებისა და მოწმეების პირადი ცხოვრების დაცვას, რომლებმაც მიაღწიეს შესაბამის ასაკს ჩვენების მიცემისათვის. სასამართლო პროცესში არასრულწლოვნის ჩართულობასთან დაკავშირებული ინფორმაცია უნდა იყოს დაცული,⁷⁷ მაგალითად, ისეთი ინფორმაციის კონფიდენციალურობისა და მისი გამჟღავნების შეზღუდვის მეშვეობით, როგორმაც შეიძლება გამოიწვიოს არასრულწლოვანი დაზარალებულის ან მოწმის იდენტიფიცირება. მიზანშეწონილია კოდექსში დაცვის კონკრეტული დამატებითი ზომების გათვალისწინება არასრულწლოვან დაზარალებულთა მიმართებით.
82. ზოგადად, დაზარალებულთა დაცვის ღონისძიებების მოცულობა უნდა ითვალისწინებდეს არა მხოლოდ მოსამართლის წინაშე მოსმენას, არამედ მართლმსაჯულების მთლიან პროცესს, ანუ დანაშაულის გამოვლენის, საჩივრის შეტანის, გამოძიების, ბრალდების, სასამართლო განხილვისა და

⁷⁶ იხ. მართლმსაჯულების სახელმძღვანელო მითითებები დანაშაულის არასრულწლოვან მსხვერპლთა და მოწმეთა საკითხებზე, (2009) ხელმისაწვდომია ბმულზე: http://www.unicef.org/ceecis/UNDOC-UNICEF_Model_Law_on_Children.pdf.

⁷⁷ იხ. პუნქტები 26-28, მართლმსაჯულების სახელმძღვანელო მითითებები დანაშაულის არასრულწლოვან მსხვერპლთა და მოწმეთა საკითხებზე, გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს #2005/20 რეზოლუცია: https://www.un.org/en/pseataaskforce/docs/guidelines_on_justice_in_matters_involving_child_victims_and.pdf.

სასამართლო განხილვის შემდგომი პროცედურების ჩათვლით.⁷⁸ მიზანშეწონილია, რომ კოდექსში შევიდეს ცვლილება და სპეციალური პროცედურები იქნეს გათვალისწინებული ბრალდებულსა და ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა შორის უშუალო კონტაქტის თავიდან ასაცილებლად სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიებისა და დევნის ყველა ეტაპზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მსხვერპლი უარს ამბობს ასეთ უფლებაზე ან ასეთი კონტაქტი აუცილებელი ან მნიშვნელოვანია სამართალწარმოების სათანადოდ წარმართვისათვის.⁷⁹ ამასთანავე, რეკომენდებულია, კოდექსში დაემატოს უფლება, ძალადობის მსხვერპლმა აირჩიოს, თუ ეს შესაძლებელია, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განმახორციელებელი მოხელის სქესი, რომელიც მის საკითხს განიხილავს.⁸⁰

83. ამავდროულად, სტამბულის კონვენციის 54-ე მუხლი⁸¹ მოითხოვს საკანონმდებლო ან სხვა ზომების მიღებას იმის უზრუნველსაყოფად, რომ სამოქალაქო და სისხლის სამართალწარმოებისას მტკიცებულებები მსხვერპლის სექსუალურ წარსულსა და ქცევასთან დაკავშირებით დასაშვები იყოს მხოლოდ მაშინ, როდესაც რელევანტური და აუცილებელია. კოდექსის 72-ე მუხლი, როგორც ჩანს, არ ითვალისწინებს ასეთ შეზღუდვას. კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევების გარდა, მიზანშეწონილია, რომ ეს შეზღუდვა მკაფიოდ აისახოს კოდექსში მსხვერპლის „მეორეული ვიქტიმიზაციისაგან“ დასაცავად (ანუ, როდესაც მსხვერპლი განიცდის ზიანს არა როგორც სისხლის სამართალდამრღვევი ქმედების პირდაპირი შედეგის, არამედ იმის გამო, თუ როგორ ეპყრობიან დაწესებულებები და სხვა პირები მსხვერპლს)⁸² სამართალწარმოების განმავლობაში.
84. 106-ე მუხლის 1¹-ლი ნაწილის თანახმად, დაზარალებულს უფლება აქვს, პროკურორის დადგენილება გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ ერთჯერადად გაასაჩივროს შემდგომი პროკურორის წინაშე. „დისკრეციული“ დევნის ამგვარ უფლებამოსილებას,

⁷⁸ იხ. მართლმსაჯულების სახელმძღვანელო მითითებები დანაშაულის არასრულწლოვან მსხვერპლთა და მოწმეთა საკითხებზე, (2009) ხელმისაწვდომია ბმულზე: http://www.unicef.org/ceecis/UNDOC-UNICEF_Model_Law_on_Children.pdf.

⁷⁹ იხ. პუნქტები 290 და 292, სტამბულის ოქმის განმარტებითი ბარათი, ხელმისაწვდომია ბმულზე: <http://conventions.coe.int/Treaty/EN/Reports/Html/210.htm>.

⁸⁰ იხ. პუნქტი 16 (1), განახლებული სამოდელო სტრატეგია და პრაქტიკული ზომები ქალთა მიმართ დანაშაულის პრევენციისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების თაობაზე (მიღებულია გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს #2010/15 რეზოლუციით), ხელმისაწვდომია ბმულზე: <http://www.un.org/en/ecosoc/docs/2010/res%202010-15.pdf>.

⁸¹ კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ, მიღებულია 2011 წლის 7 აპრილს, საქართველოს მიერ ხელმოწერილია 2014 წლის 19 ივნისს

⁸² იხ. ევროპის საბჭოს მინისტრთა რეკომენდაცია (CM/Rec(2006)8) წევრი სახელმწიფოების მიმართ დანაშაულის მსხვერპლთა დახმარების თაობაზე, დანართი, პუნქტი 1.3; მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2006 წლის 14 ივნისს მინისტრთა მოადგილეების 967-ე სესიაზე, ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?id=1011109&>.

როგორც ეს განსაზღვრულია კოდექსის 33-ე მუხლის მე-6(ზ) ნაწილითა და 166-ე მუხლით, ბევრი ქვეყნის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს. როგორც წესი, ითვლება, რომ ისინი ნაკლებ დროსა და ხარჯებს მოითხოვს რეგულარულ სავალდებულო გამოძიებასა და დევნასთან შედარებით. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში შეიძლება გამართლებული იყოს გამოძიების ან დევნის შეწყვეტის თაობაზე პროკურორის გადაწყვეტილების დამატებით განხილვა სასამართლოს მიერ. მნიშვნელოვანია საქმეების ეფექტიანი ოფიციალური გამოძიება, რომლებიც პროკურატურის განმგებლობას მიეკუთვნება, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც დაზარალებული დაექვემდებარა წამებასა ან არასათანადო მოპყრობას.⁸³

85. წამებასა და არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებულ ყველა ასეთ საქმეზე რეკომენდებულია დაცვის დამატებითი პროცესუალური მექანიზმების შემოღება, როგორცაა დევნის დაწყებაზე უარის შესახებ გადაწყვეტილებების სასამართლოს მიერ განხილვა.⁸⁴ არსებობს მთელი რიგი განსხვავებული მიდგომები დაცვის ასეთი მექანიზმების განსაზღვრასთან დაკავშირებით, მათ შორისაა კერძო პროკურორის⁸⁵ ან, ნიდერლანდების სამართლებრივი სისტემის მსგავსად, დაინტერესებული მხარის მიერ სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობა.⁸⁶ ამავდროულად, ასეთი დამატებითი გარანტიები უნდა უზრუნველყოფდეს, რომ სისტემამ არ გამოიწვიოს საქმის ხელახლა განხილვის ზედმეტი შესაძლებლობა და უზრუნველყოფილი იქნეს პროკურატურის დისკრეციული უფლებამოსილების პატივისცემა; ეს შეიძლება გაკეთდეს, მაგალითად, გონივრული ვადების დაწესებით ასეთ საჩივრებთან მიმართებით და გასაჩივრების მხოლოდ ერთი შესაძლებლობის უზრუნველყოფით.

⁸³ მე-2 მუხლისათვის იხ. მაგ., *Nachova and others v. Bulgaria*, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, 6 ივლისი, 2005, განაცხადი ##[43577/98](#) და [43579/98](#), პუნქტი 110 და *Enukidze and Girvliani v. Georgia*, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, 26 აპრილი, 2011, განაცხადი #[25091/07](#), პუნქტები 241-243; მე-3 მუხლთან მიმართებით, მაგ., იხ. *Dvalishvili v. Georgia*, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, 18 დეკემბერი, 2012, განაცხადი #[19634/07](#), პუნქტი 40

⁸⁴ Cf. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის #2000(19) რეკომენდაცია, პუნქტი 34: „აღიარებული ან ამოცნობადი სტატუსის მქონე დაინტერესებულ მხარეებს, კერძოდ, დაზარალებულებს, უნდა შეეძლოთ დევნის შეწყვეტის თაობაზე პროკურორის გადაწყვეტილების გასაჩივრება; გასაჩივრება შესაძლებელია, საჭიროების შემთხვევაში, იერარქიული წესით, სასამართლო განხილვის ან უფლებამოსილი მხარეების მიერ კერძო პროკურორის მოწვევის მეშვეობით.“

⁸⁵ იქვე

⁸⁶ მუხლი 12, ნიდერლანდების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

8. პირადი ცხოვრების, საცხოვრებლისა და მიმოწერის უფლებაში ჩარევა

86. 112-ე მუხლის მე-4 ნაწილი და 135-ე მუხლის მე-3 ნაწილი ითვალისწინებს გამოძიების დროს კომუნიკაციის ტექნიკური საშუალებით განხორციელებული გზავნილის დაყადაღების შესაძლებლობას. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს ასევე მოიცავს ელექტრონულ კომუნიკაციებს, მათ შორის, ელექტრონულ მიმოწერას, თუმცადა შესაძლებელია ეს უფრო ნათლად განისაზღვროს აღნიშნული დებულებებით. საკანონმდებლო დებულებების თანმიმდევრობის უზრუნველყოფის მიზნით ნებისმიერი ცვლილება უნდა შეესაბამებოდეს 137-ე და 138-ე მუხლებს ინტერნეტტრაფიკისა და შინაარსობრივი მონაცემების შეგროვების თაობაზე. მიზანშეწონილია, ნათლად მიეთითოს 112-ე მუხლის მე-4 ნაწილსა და 135-ე მუხლის მე-3 ნაწილში, თუ რამდენად ვრცელდება მათი მოქმედება ელექტრონულ მიმოწერასთან მიმართებით.
87. 112-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ჩხრეკის ორდერი ძალაშია 30 დღის განმავლობაში. ეს ძალიან ბევრი დროა იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ სავარაუდო მიზეზი, რომელსაც იგი ეფუძნება, შეიძლება აღარ არსებობდეს ან „მოძველდეს“ დროთა განმავლობაში. ყოველივე ამან კი შეიძლება გამოიწვიოს ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული პირადი ცხოვრების დაცვის უფლებაში გაუმართლებელი ჩარევის შესაძლებლობა. შესაბამისად, რეკომენდებულია 112-ე მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრული ჩხრეკის ორდერის მოქმედების ვადის შემცირება, მაგალითად, მაქსიმუმ თოთხმეტ დღემდე.⁸⁷

9. სხვა საკითხები

88. კოდექსის ზოგადი ნაწილის მე-3 მუხლში მოცემულია ყველა ძირითადი ტერმინის განმარტება. კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „ახლო ნათესავი“ არის „მშობელი, შვილად ამყვანი, შვილი, შვილობილი, პაპა, ბებია, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლე (მათ შორის, განქორწინებული).“ ევროპულ საზოგადოებებში არსებული შეხედულების გათვალისწინებით მიზანშეწონილია, მე-3 მუხლის მე-2 ნაწილში „ახლო ნათესავის“ განმარტებას დაემატოს „მასთან მუდმივად მცხოვრები პირი“.
89. IV თავის (პროკურორი, გამომძიებელი) 35-ე და 36-ე მუხლებში განსაზღვრულია, რომ ზოგად და ტერიტორიულ საგამომძიებო ქვემდებარეობას საქართველოს მთავარი პროკურორის წარდგინებით განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის მინისტრი. გაურკვეველია, თუ რატომ არ რეგულირდება აღნიშნული იურისდიქცია უშუალოდ

⁸⁷ მაგ., იხ. შეერთებული შტატების ფედერალური სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 41 (e) (2) (A) (i), რომლის თანახმად, ჩხრეკის ორდერში აღნიშნული უნდა იყოს, რომ ექვემდებარება აღსრულებას არა უგვიანეს 14 დღის განმავლობაში.

კოდექსით, რაც თავისთავად აღმოფხვრიდა (ან, სულ მცირე, მნიშვნელოვნად შეამცირებდა) ქვედმდებარეობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების პოლიტიზირების რისკს. მიზანშეწონილია, კოდექსით განისაზღვროს ზოგადი და საგამოძიებო ქვედმდებარეობის საკითხები სისხლის სამართალწარმოებასთან მიმართებით.

90. 48-ე მუხლი ეხება მოწმის მიერ ფიცის დადებას და ითვალისწინებს როგორც ფიცის დადებას (რელიგიური ან არარელიგიური განცხადება, როდესაც მოწმე ფიცს დებს, რომ იტყვის მხოლოდ სიმართლეს და არაფერს დამალავს), აგრეთვე „დადასტურებას“ (ფიცის დადების სანაცვლოდ ადასტურებს, რომ იტყვის მხოლოდ სიმართლეს და არაფერს დამალავს). მიზანშეწონილია, რომ მე-20 მუხლის მე-3 ნაწილს, რომელიც ითვალისწინებს მოწმის განსაზღვრებას, დაემატოს დებულება, რომ პირი მოწმის სტატუსს იძენს ფიცის დადების ან *დადასტურების* მომენტიდან (ამჟამად ეს დებულება მხოლოდ ფიცთან მიმართებით ვრცელდება). იგივე ეხება 115-ე მუხლის 1-ლ ნაწილს მოწმეთა დაკითხვის წესთან დაკავშირებით, რომელიც ასევე მხოლოდ ფიცის დადებას ითვალისწინებს.
91. გამოძიების კონტექსტში საპროცესო მოქმედებების შესახებ XVII თავის 159-ე-161-ე მუხლები ითვალისწინებს ბრალდებულის თანამდებობიდან (სამუშაოდან) გათავისუფლების შესაძლებლობას, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ამ თანამდებობაზე (სამუშაოზე) დარჩენით იგი ხელს შეუშლის გამოძიებას. ეს დებულებები იძლევა იმის ვარაუდის საშუალებას, რომ სასამართლო უფლებამოსილია, თანამდებობიდან გაათავისუფლოს თანამშრომელი მისი დამქირავებლის სურვილის მიუხედავად და არ მიუთითებს რაიმე ნაკლებად მკაცრ ღონისძიებაზე (მაგალითად, სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერება.) შრომით უფლებებში ასეთი ჩარევის საფრთხე შეიძლება ასევე ჩაითვალოს უკანონო წაქეზებად საპროცესო შეთანხმების დასადავად და შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებაზე. მიზანშეწონილია 159-ე-161-ე მუხლებში ცვლილების შეტანა, რათა მხედველობაში იქნეს მიღებული დამსაქმებლის სურვილები და სასამართლოს დაეკისროს ვალდებულება, დაასაბუთოს თავის განჩინებაში 160-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, რატომ არ იყო შესაძლებელი ნაკლებად შემზღვევითი საშუალების გამოყენება. ამასთანავე, მიზანშეწონილია, 160-ე მუხლში განისაზღვროს უფლება ზეპირ მოსმენაზე, როდესაც შესაძლებელი იქნება დამსაქმებლის მოსმენა.

[ტექსტის დასასრული]